# ალია

50 თ

№68/2998/ 7 მაისი 2014 წ ფასი 50 თ

ორშაბათი ქრონიკა · სამშაბათი ალია · ოთხშაბათი ალია · ხუთშაბათი ალია · პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**„ქართული ოცნების“**

უდროოდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ამომრჩევლებს, თანამოაზრეებსა და გულშემატკივრებს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

**„ამას აკეთებენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორები, ახლა ხორბლის იმპორტიორებმა დაიწყეს ეს თაღლითობა“**



**რატომ გაძვირდა ფქვილი?**

## ილია მეორე: უკანონობის დაკანონება დიდი ცოდვაა



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას ეხმაურება. როგორც მან ბრძანა, არც ერთი მორწმუნე ადამიანი ასეთ კანონს არ მიიღებს.

„როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო. უკანონობის დაკანონება დიდი ცოდვაა და სწორედ ამის შესახებ ვთქვი მე და რომ არ მეთქვა, ის იქნებოდა გასაკვირი და საოცარი. მე ვალდებული ვარ, უნდა ვთქვა. არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ასეთ კანონს. მე მინდა ვთქვა, რომ გავა დრო, როცა ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, როგორ იყო მიღებული ეს კანონი. მე შევთხოვე უფალს, რომ უფალმა შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენი, ნებით და უნებლიეთ. ღმერთი მოწყალეა და ღმერთი გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს“, – ბრძანა პატრიარქმა.

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი პარლამენტმა გასულ კვირას მიიღო. (ნიუპოსტი)

**რა დაგეგმეს ქართული გვარების წინამძღოლებმა ანტიდისკრიმინაციული კანონის გასაუქმებლად?**

2

**რა დარღვევები აღმოაჩინა საპატრიარქოს ბაღებთა სახლებში და რას მალავს ჯანდაცვის სამინისტრო?**



**ლელა იაკობაშვილი: „ჰომოსექსუალობის ლეგიტიმაციას ტრადიციული კულტურა ასე თავისუფლად ვერ იღებს“**



**რამაზ საყვარელიძე: „პოლიტიკური პარტიით მობრუნდება ივანიშვილი პოლიტიკაში თუ სხვა მექანიზმებით, ეს არ ვიცი. მე ვხედავ საფრთხეს...“**



**78 წლის მამაკაცმა 9 წლის გოგონას გაუპატიურება სცადა**



**ვის და რატომ დასჭირდა „რუსთავი 2“-ში ფარული გადაღება?**

**ხმაურიანი მედიასკანდალის 4 ვერსია**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გამოცდების ეროვნულ ცენტრში ღია კარის დღე გაიმართება



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და გამოსაშვები გამოცდების მონაწილეებს, შესაძლებლობას აძლევს, შეხვდნენ ცენტრის წარმომადგენლებს, საგნობრივი ჯგუფების ხელმძღვანელებს და მათგან მიიღონ ინფორმაცია გამოცდებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ღია კარის დღე გაიმართება 14 მაისს 14:00 საათზე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, მისამართზე: მინდელის ქ. №9, მე-5 სართული. (ნაეც.გე)

## უახლოესი დღეების ამინდის პროგნოზი



7-8 მაისს საქართველოში წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი. თბილისში ტემპერატურა 7 მაისს 15-14 გრადუსი, 8 მაისს 14-22, ხოლო 9 მაისს 17-26 გრადუსი იქნება. 7-8 მაისს დასავლეთ საქართველოში იწვიმებს, ტემპერატურა ოდნავ დაიწევს. მოსალოდნელია სუსტი ქარი. 9 მაისს კი ნახევრად მოღრუბლული ამინდი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში 7-8 მაისს ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი. 9 მაისს გამოიდარებს და მზე გამოვა. (ამინდი.ჯი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

„ჩვენი მიზანია სამართლიანობის დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაჩენა“

(მართალია, ცესკომ „ნაცმოძრაობას“ არჩევნებზე 5-იანის გამოყენება აუკრძალა, მაგრამ ეს სასამართლოშია გასაჩივრებული და შეიძლება შეინარჩუნონ კიდეც)

ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

# რა დაგეგმეს ქართული გვარების წინამძღოლებმა ანტიდისკრიმინაციული კანონის გასაუქმებლად?

**საინიციატივო ჯგუფში 5 მაისს, 17 საათზე სამების საკათედრო ტაძარში ყველა გვარის თავკაცი მიიწვიეს იმ დეკლარაციის ტექსტზე ხელმოსაწერად, რომლითაც ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებას მოითხოვენ. 6 მაისს კი ავლაბარში პრეზიდენტის სასახლესთან ხელმოწერები გაფორმდა.**

**როგორ ჩაიარა შეკრებამ და რა დაგეგმეს გვარის წინამძღოლებმა? ამის გასარკვევად, „ალია“ საინიციატივო ჯგუფის წევრს, კოალიცია „ერთსულოვნების“ თავმჯდომარეს მიხეილ ანდღულაძეს დაუკავშირდა:**

– იმის გათვალისწინებით, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების მიმართ საპროტესტო დეკლარაციაზე ხელმოწერის სურვილი გამოავლინა საზოგადოების ფართო სპექტრმა, მათ შორის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, არასამთავრობო სექტორმა და მთელი საქართველოს მასშტაბით უბრალო მოსახლეობამ, სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საპროტესტო დეკლარაცია დემონსტრაციულად გაფორმებულიყო 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, 13:00 სთ-ზე საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციასთან ავლაბარში.

**— თუ იყო ისეთი გვარი, ვისაც შესთავაზეთ და უარი მიიღეთ?**

– არანაირი უარი არავისგან არ მიმიღია, რადგან სრული თანხვედრაა ჩვენი გვარის წინამძღოლების მხრიდან. საქმე ისაა, რომ ჩვენ პატრიარქის კურთხევით, ყოველი თვის პირველ ორშაბათს გვარის წინამძღოლები და ის, ვინც პატრიარქმა დალოცა, ვმართავთ დარბაზობას. დარბაზში 700-ზე მეტი წინამძღოლია გაწევრიანებული. მიმდინარე პროცესების გამო, მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა მოუწოდა პარლამენტს, გადაევადებინათ განხილვა და მაინც ხელაღებით მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი, ჩვენმა საბჭომ მიიჩნია დღის წესრიგში მისი შეტანა. მოვამზადეთ გვარის წინამძღოლთა საპროტესტო დეკლარაცია, რომელზე ხელმოწერაც დაიწყო და გაგრძელდება.



მიხეილ ანდღულაძე

**— რა წერია ამ დეკლარაციაში, რას ითხოვთ?**

– ამ დეკლარაციით გამოვხატავთ კანონპროექტის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას და შევიმუშავეთ ტექსტი, რომ ყველა გვარის წინამძღოლი მოაწერდა ხელს და დაადასტურებდა პოზიციას, რომელიც გამოხატავდა ჩვენი გვარიშვილების ნებას და პოზიციას, რომ ქვეყანაში, სადაც საზოგადოების უმრავლესობა განიცდის დისკომფორტსა და მღელვარებას, ასეთი კანონპროექტები არ უნდა იქნას მიღებული ასე ხელაღებით. ჩვენ მივმართეთ პრეზიდენტს, რომ თუნდაც მას გამოეჩინა მხარდაჭერა საზოგადოების უმრავლესობის მიმართ და დაედო ვეტო ამ კანონპროექტისთვის. გამოსულიყო, როგორც უმრავლესობის ინტერესების დამცველი და არა – უმცირესობის და გადაედო ეს კანონპროექტი ხანგრძლივი საექსპერტო განხილვისთვის.

**— რატომ გეიმედებოდათ პრეზიდენტი, რატომ გეგონათ, რომ დაუპირისპირდებოდა პარლამენტს?**

– გეთანხმებით, რაღაც გარკვეულ მომენტში ადამიანის მიმართ მოლოდინი შეიძლება არ გქონდეს, მაგრამ ყველას მოვალეობაა, შევასრულოთ ჩვენი მართლზომიერი დამოკიდებულება. შესაძლოა, ეს გახდეს მაპროვოცირებელი მავანის კეთილგონიერებისა.

**— როგორც ვიცი, 22 000-მდე ხელმოწერა უნდა შეაგროვოთ. რას უპირებთ ამ ხელმოწერებს?**

– თქვენ თუ გახსოვთ, შარშან მილიონ-ნახევარი ხელმოწერა შევაგროვეთ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, მისი არალეგიტიმურად ცნობის შესახებ. რა თქმა უნდა, პარ-



ლამენტი, რომელიც დაკომპლექტებულია... თავს შევიკავებ იმის თქმისგან, რითაცაა დაკომპლექტებული, ცხადია, რომ საზოგადოების იმ უმრავლესობის ინტერესებს არ იცავს, ვინც ის აირჩია, ამიტომ ჩაამთავრებინეს სააკაშვილს ვადა. პარლამენტი უუნაროა, აუცილებლად უნდა დაიშალოს და არჩეუ-

**„ჩვენ მივმართეთ პრეზიდენტს, რომ თუნდაც მას გამოეჩინა მხარდაჭერა საზოგადოების უმრავლესობის მიმართ და დაედო ვეტო ამ კანონპროექტისთვის. გამოსულიყო, როგორც უმრავლესობის ინტერესების დამცველი და არა - უმცირესობის და გადაედო ეს კანონპროექტი ხანგრძლივი საექსპერტო განხილვისთვის“**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ნაციონალური მოძრაობა“ ნომერ 5-ს კარგავს




5 მაისს, საარჩევნო ბლოკმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“, წერილობით მიმართა ცესკო-ს არჩევნებში რიგითი ნომერი „5“-ით მონაწილეობის შესახებ. თუმცა აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი მიიღო. „ნაციონალური მოძრაობა“ ცესკო-ს უარის სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამოცხადების შემდეგ ხელისუფლება და სრულიად სახელმწიფო სტრუქტურები მობილიზებულია, რათა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ მაქსიმალურად შეზღუდულ და პრობლემატურ გარემოში მოუწიოს კამპანიის წარმართვა. კამპანიის დასაწყისიდანვე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არაერთ ბარიერს აწყდება. პარტიის კანდიდატებზე ზეწოლის, მათი სამართალდამცავ ორგანოებში დაკითხვებზე მუდმივი სიარულისა და უკიდურესი ზომის – დაკავებების შესახებ – საზოგადოება უკვე არაერთხელაა ინფორმირებული.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში რიგითი ნომერი „5“-ით მონაწილეობის მოთხოვნაზე ცესკო-დან უარი მიიღო.

მიზეზად ცესკო საარჩევნო კოდექსის იმ ნორმას მიუთითებს, რომლის მიხედვითაც აუცილებელია საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტია მონაწილეობდეს წინა საპარლამენტო არჩევნებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ზუსტად იგივე ნორმით საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ნომრები მიენიჭა სამ საარჩევნო ბლოკს:

1. „ალიანსი საქართველოსთვის“ (1. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“; 2. „ახალი მემარჯვენეები“; 3. ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“; 4. „საქართველოს გზა“);
2. „ეროვნული საბჭო“ (1. „საქართველოს კონსერვატიული პარტია“; 2. „ხალხის პარტია“; 3. მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“);
3. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (1. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“; 2. „ჩვენ თვითონ“; 3. „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“).

ყველა ამ ბლოკის შემადგენლობაში შედიოდა მინიმუმ ერთი პარტია, რომელსაც წინასაპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას საარჩევნო ბლოკ „ქართულ ოცნებას“ ანალოგიურ მოთხოვნაზე ცესკომ უარი უთხრა, რაც იმ არგუმენტით იქნა ახსნილი, რომ საპარლამენტო არჩევნების და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ნომრის მინიჭების საკითხი კოდექსის სხვადასხვა ნაწილებითა და შესაბამისად, სხვადასხვა მუხლით არის განსაზღვრული და ადილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია.

სამწუხაროა, რომ ცესკომ ვერ გაუძლო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლას და ვერ შეძლო პრინციპული და სამართლებრივად გამართლებული პოზიციის დაცვა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გადაწყვეტილებას სასამართლოში ასაჩივრებს. იმედია, ხელისუფლებას ეყოფა გონიერება და შეწყვეტს თავის უკანონო ქმედებას საარჩევნო ბლოკის წინააღმდეგ, ხოლო სასამართლო კი პოლიტიკურ თამაშებსა და ზეწოლაზე მაღლა დადგება და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „პროცესი დასრულებულია, რამდენიმე საკითხია დასაზუსტებელი“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დავით ბერძენიშვილის განცხადებით, დავით ზურაბიშვილი და გულიკო ზუმბაძე თვითმმართველობის არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატებად იყრიან კენჭს.

„პრაქტიკულად, დამთავრებულია პროცესი. რამდენიმე საკითხია დასაზუსტებელი. სულ 70 ოლქია. ჩვენ შეთანხმებული ვართ პრინციპზე, რომ ნახევარია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, მეორე ნაწილი კი – კოალიციის სხვა პარტიებისა. კონკრეტულად თითოეული ოლქის მიხედვით მოვილაპარაკეთ. მე ჩემი მხრიდან „რესპუბლიკური პარტიის“ მხრიდან შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ დათო ზურაბიშვილი და გულიკო ზუმბაძე იქნებიან მაჟორიტარები თბილისში“, – განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

თავად გულიკო ზუმბაძის თქმით, ის „ქართულ ოცნებას“ ორხევისა და აეროპორტის დასახლებებში წარმოადგენს.

„მე დავსახელდები სამგორის რაიონის შემოერთებული სოფლის – ორხევისა და აეროპორტის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ვიქნები მაჟორიტარობის კანდიდატი და ამავე დროს, ვიქნები პროპორციულ სიაშიც“, – განაცხადა ზუმბაძემ.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტართა სიაში ვერ მოხვდა ყოფილი „ქრისტიან-დემოკრატი“ ზაზა გაბუნია, რომელმაც არჩევნების შემდეგ კოალიციაში გადაინაცვლა. (ფრონტნიუსი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5 41

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირება იყო:

## „ერთად აღვადგინოთ სამართლიანობა“

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

2014 წლის 5 მაისს გაზეთების „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ რედაქციას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა – „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური, თავგადაკლული მხარდამჭერის, ოთარ კობერიძის სასარგებლოდ 50 000 ლარის გადახდა დაგვეკისრა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი „ფრესკოს“ „აყროლებული ქათმის“ სტატია 6500 ლარი გვიჯდება.

მიშას მონა, სიმართლის მკვლელი მოსამართლეების დაწყებული თავხედური, უტიფარი, აღვირახსნილი უსამართლობის პროცესი „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენით უნდა დაემთავრებინა.

სწორედ ამიტომ ვიბრძოდით შეუპოვრად, თავგანწირვით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად, რომ ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდგომ, ერთად აღგვედგინა სამართლიანობა.

სამწუხაროდ, სამართლიანობის აღდგენის ოცნება დაიმსხვრა, როგორც ამომრჩეველთა დიდი ნაწილისთვის, ასევე, დღეს უკვე ჩვენთვისაც.

ამიტომ, ყველას – უსამართლობით გამწარებულებს, იმედგაცრუებულებსა და ოცნებაწართმეულებს, მოგიწოდებთ – ერთად მოვიპოვოთ სამართალი:

1. ნუ მისცემთ ხმას „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“!!!
   არ შემოხაზოთ ციფრი 5 ან 41.
2. მხარი დავუჭიროთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნას!!!

გაზეთების „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“!!!



მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

„ჩვენ დღეს ვიწყებთ, რათა ხვალ საქართველოსა და მთელი მისი მოსახლეობის მდგომარეობა შევცვალოთ უკეთესობისკენ, სამართლიანობისა და თანასწორობისკენ“.

ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეორე გვერდიდან*

ლი იქნას ის პარლამენტი, რომელიც ყოველთვის გაითვალისწინებს ქვეყნის უმრავლესობის ინტერესებს და არა - უმცირესობისას მარტო. შეიძლება, ჩვენ ბევრს არაფერს მოველით მათგან, რამდენი ხელმოწერაც არ უნდა შევაგროვოთ, მაგრამ ერს ვერ დავტოვებთ ისეთ კონდიციაში, რომ უმსგავსოება უპროტესტოდ რჩებოდეს.

**— გასაგებია, რომ თქვენ აპროტესტებთ. სამებაში სასულიერო პირებსაც შეხვდებოდით, ისინი რას აპირებენ, რამე საორგანიზაციო ჯგუფებს ისინიც ხომ არ ქმნიან?**

– უწმინდესმა ბევრი მნიშვნელოვანი რამ თქვა, განსაკუთრებით ის, რომ მორწმუნე საზოგადოება ამ კანონს ვერასდროს შეეგუება და ვერ დაეთანხმება, ეს არის ყველა ჩვენგანისთვის მესიჯი და იდეაფიქსი, როგორ უნდა ვიმოქმედოთ. როგორ ისუნთქო, დააცემინო და დაახველო, ეს ხომ არ უნდა გასწავლოს პატრიარქმა? ხომ ხარ გონიერი და ჩამოყალიბებული ადამიანი და თუ განუხ-ებს მორალი, ოჯახისშვილობა, ადამიანობა და მომავალი, როგორ უნდა შეეგუო ამას?

**— ბოლო დროს გამოჩნდა ეკლესიასა და პარლამენტს შორის აზრთა შეუთანხმებლობა, შეგიძლიათ ცალსახად თქვათ, რომ შიგნით, ეკლესიაში მაინც არის აზრთა თანხვედრა? ეპარქიებში რა განწყობაა, ხომ არ იცით?**

– გამიჭირდება ამაზე პასუხის გაცემა, რადგან ყველა მეუფესთან არ მისაუბრია, მაგრამ ჩემთვის ამოსავალი არის უწმინდესი. ის ქადაგებს და მის ქადაგებას იმეორებს ყველა ეპისკოპოსი. აქედან გამომდინარეობს სინოდის განწყობაც. ერთი რამ ვიცი, რაც პატრიარქმა ბრძანა ამ კანონპროექტზე და ეს არის მორწმუნე საზოგადოების ინტერესების გამომხატველი.



**„17 მაისს იგეგმება რუსთაველის კინოთეატრში ფილმის გაშვება ქართველი გეი ბიჭების შესახებ. ამ ჩვენებას დაესწრება ბევრი ადამიანი. ძალიან მაინტერესებს, ვინ იქნებიან ესენი? „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები თუ ხელისუფლება? თუ „ოცნება“ დაესწრება, აი, მერე იქნება აჟიოტაჟი“**

**— ბატონო მიშა, ხშირად ამბობდით, რომ „ნაციონალები“ ეკლესიებს ანგრევდნენ, ძირს უთხრიდნენ პატრიარქის ავტორიტეტს, მოვიდა ახალი ხელისუფლება და უარესი გააკეთა. რასაც აკვირდებით, როგორ ფიქრობთ, სადამდე შეტოპავს „ოცნების“ ხელისუფლება ამ ქმედებებით?**

– საზოგადოება იმისთვის არსებობს, რომ სისტემატურად აფხიზლოს ხელისუფლება და თუ ამას საზოგადოება არ გააკეთებს, მივიღებთ კომუნისტურ წყობას, ან ჩრდილოეთ კორეულ სახელმწიფოს, ან შუააზიურ სახელმწიფოს. თუ ამ მთავრობამ ასე გააგრძელა, აი ჩემი მეხუთე შვილი, რომელსაც სურს, იყოს ქართველი, რა ვუთხრა, შვილო, არ გეძლევა ეროვნულობის დაცვის შესაძლებლობა, იმიტომ, რომ „ლგბტ“ ხელისუფლება მოდის და პარლამენტი ერთხმად იღებს მათი ინტერესების დამცველ კანონს-მეთქი? ეს ვუთხრა და მე ამას არხეინად ვეგუები და მხართეძოზე ვარ წამოწოლილი-მეთქი? ამას მაიძულებს ხელისუფლება, შვილს რომ ვუთხრა? სადამდე შეტოპავს ხელისუფლება, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩვენ რომ არ გავჩერდებით, ფაქტია. ხელმოწერებით დავიწყებთ და შემდეგ გამოჩნდება, რას მოვიმოქმედებთ.

**— მანამდე არავინ იცის, რა მოხდება, ბევრი ლაპარაკობს მოსალოდნელ პროვოკაციებზე.**

– ეს საცოდავი ადამიანები ჩვენს გარემოში ყოველთვის იყვნენ, მაგრამ მათ მიმართ ტოლერანტულები ვიყავით, ისინიც არასდროს აძლევდნენ თავს უფლებას, გამოსულიყვნენ, გამომზეურებულიყვნენ და მანიფესტაციები მოეწყოთ. რა ხდება ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხომ ხედავთ? რამდენიმე ათეული ადამიანი, გადაცმულია ქალის ფორმაში და სქესით მამაკაცები არიან, დგანან და ამტკიცებენ, რომ ჩვენსავით უფლებები აქვთ. დიახ, ვეთანხმები, ვინც პროვოკაციებზე საუბრობს. კიდევ არ გვაქვს წარმოდგენა, რამხელა პროვოკაციები გველოდება წინ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ.

**— თქვენ კონკრეტულად რა ინფორმაციებს ფლობთ ამ პროვოკაციების შესახებ?**

– გეტყვით რამდენიმე ფაქტს, 17 მაისს იგეგმება რუსთაველის კინოთეატრში ფილმის გაშვება ქართველი გეი ბიჭების შესახებ. ამ ჩვენებას დაესწრება ბევრი ადამიანი. ძალიან მაინტერესებს, ვინ იქნებიან ესენი? „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები თუ ხელისუფლება? თუ „ოცნება“ დაესწრება, აი, მერე იქნება აჟიოტაჟი. ფართო საზოგადოება დაესწრება „ლგბტ“ პირების სახით. ახლა წარმოიდგინეთ ამ საზოგადოების გამოსვლა და სიარული რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც ლეილა აბაშიძესა და გურამ საღარაძეს უვლია? აქ დაიწყება აჟიოტაჟი და შეიძლება, საქმე დაპირისპირებამდეც მივიდეს. პარალელურად არის დაგეგმილი გენდერული თანასწორობის აქციაც. მე როცა გავავრცელე ინფორმაცია ამ შეკრების შესახებ, ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მომწერა, ტყუილად ირჯებით, ორ კაცს ვერ შეაგროვებთ, რომ აქცია მოაწყოთ და ვოცნებობ, რომ ვერ შეაგროვოთ ხალხი, რომ კანონის წინააღმდეგ აქცია გამოგივიდეთ, ბატონო ანდღულაძეო.

**— რა ორგანიზაცია იყო?**

– სიამოვნებით დავასახელებდი, მაგრამ ამ ეტაპზე თავს შევიკავებ, ქალთა დაცვის რაღაც ორგანიზაცია იყო. ამ ხალხს ჰგონია გულწრფელად, რომ მართლა უმრავლესობაში არიან და ჩვენ ვართ უმცირესობა. ესაა ჩვენი ტკივილი. გამოფხიზლდით საზოგადოება, ყავის ჭიქაში ნუკი ბობოქრობთ, მალე თითები არ დავიკვნიტოთ.

**— რას აპირებთ, სადამდე მიყვებით ამ პროცესებს?**

– მარტივად გიპასუხებთ - როცა ასი ათას მოწამეს მოსთხოვეს ხატზე გადავლა, ყველამ თავი გაწირა. ასეთი დამოკიდებულება გვაქვს ჩვენ ამ პროცესის მიმართ.



**„უწმინდესმა ბევრი მნიშვნელოვანი რამ თქვა, განსაკუთრებით ის, რომ მორწმუნე საზოგადოება ამ კანონს ვერასდროს შეეგუება და ვერ დაეთანხმება, ეს არის ყველა ჩვენგანისთვის მესიჯი და იდეაფიქსი, როგორ უნდა ვიმოქმედოთ“**

»» **ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა რეალობაა და მას მშვიდად უნდა ვუყუროთ“

ჩემი რჩევა იქნება ევროკავშირსა და აშშ-ს ჰკითხოთ, რამე გეგმები ხომ არ აქვთ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება იმას არ გააკეთებს რასაც მისგან ელოდებიან, – ასე უპასუხა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ვენაში გამართულ პრესკონფერენციაზე, ტელეკომპანია „იმედის“ შეკითხვას – მოსალოდნელია თუ არა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დაძაბვა, ევროკავშირთან საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.

ამასთანავე, სერგეი ლავროვის თქმით, ამ შეკითხვის ადრესატები სწორედ იქ არიან და არა – რუსეთში.

„ჩვენ არ ვართ დაკავებული რეჟიმების შეცვლით, ფერადი რევოლუციების მოწყობით, მით უმეტეს, ყავისფერი ლაქებით, როგორც ეს უკრაინაში მოხდა“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მანვე აღნიშნა, რომ ყოვლად გაუგებარია ევროკავშირის რეაქცია უკრაინის ლეგიტიმური ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე, დროებით გადაედო ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმება. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, დასავლეთმა მაშინვე დაუჭირა მხარი უკრაინაში სახალხო პროტესტს, რომელსაც მალევე ჩაუდგნენ სათავეში რადიკალები და დაიღვარა სისხლი.

ტელეკომპანია „იმედის“ შეკითხვაზე, როგორ შეაფასებდა ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ანგარიშს, სადაც ასახული იყო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარება და აღნიშნული იყო, რომ რუსული ჯარების დესტრუქციული ქმედება, მათ შორის ე.წ. საზღვრებზე დაკავებები, სერგეი ლავროვმა უპასუხა, რომ რუსეთი ბრმად არ უჭერს მხარს ყველაფერს, რასაც ევროსაბჭო და მისი სამდივნო იტყვის.

მისივე თქმით, რუსეთი გულგრილი არ არის საქართველოში შექმნილი ვითარების მიმართ და სურს, რომ ქართველმა ხალხმა კარგად იცხოვროს.

„მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოში არსებული ვითარების კონტექსტში განვიხილავთ. ისინი ჩვენი მეზობლები არიან, დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებიც ჩვენ ვაღიარეთ და ეს რეალობაა. ჩვენ გვჯერა, რომ ის კონტაქტები, რომელიც ჩვენსა და ქართველ კოლეგებს შორის ხორციელდება, ნებას მოგვცემს, უფრო მშვიდად და საღად ვუყუროთ ამ ახალ რეალობას“, – განაცხადა სერგეი ლავროვმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი ძალიან მალე დასრულდება



პროექტის დასრულების შესახებ განცხადება თურქეთის პრეზიდენტმა, აბდულა გიულიმ გააკეთა.

„ჩვენ აქ შევიკრიბეთ სამი ქვეყნის პრეზიდენტები, რომელთაც გვაქვს საერთო ხედვა სამხრეთ კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, დეტალურად განგვეხილა სხვადასხვა ასპექტები ჩვენი თანამშრომლობისა. თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს ცალ-ცალკე გვაქვს ძალიან კარგი ურთიერთობები ორმხრივი ურთიერთობების საფუძველზე. საქართველოსთან გვაქვს 1,5 მილიარდი დოლარის ტვირთბრუნვა და თურქეთის ინვესტიციები საქართველოში 1 მილიარდზე მეტია. არიან თურქული კომპანიები, რომლებიც აგრძელებენ საქართველოში ინვესტირებას ძალიან დიდი ინტერესით. ჩვენს მოქალაქეებს შეუძლიათ იმოძრაონ პასპორტის, ვიზის გარეშე, უბრალოდ, პირადობის მოწმობის საფუძველზე. ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული, ბრწყინვალე ურთიერთობები აზერბაიჯანთან. ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები, კერძოდ ტვირთბრუნვა 4,7 მილიარდი დოლარის ტოლია და ინვესტიციები ყოველდღიურად იზრდება“, – განაცხადა გიულიმ.

მისივე თქმით, გეოგრაფიული კავშირები თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ძალიან მნიშვნელოვან მიზიდულობის ცენტრს ქმნის.

„გულწრფელი ურთიერთობები სამ ქვეყანას შორის რეგიონს მართლაც ძალიან მნიშვნელოვან ცენტრს ხდის ინვესტიციებისთვის. რეგიონის სიძლიერე სულ უფრო და უფრო იზრდება, ამას ყველა აცნობიერებს. არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, განსაკუთრებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილის-ერზრუმის გაზსადენი, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი. მთელი მსოფლიო დიდი ყურადღებით და პატივისცემით აკვირდება მათ განხორციელებას. წარსულში ამბობდნენ, რომ ეს იყო, უბრალოდ, განუხორციელებელი ოცნება. პირველი თუ უკვე განხორციელებულია, მესამე – სარკინიგზო მიმოსვლა მალე დასრულდება“, – განაცხადა გიულიმ.

სამიტის ფარგლებში ტრანსპორტის მინისტრებმა დეტალური პრეზენტაცია გააკეთეს, რა ხდება ამ მიმართულებით.

„ძალზე მოხარული ვართ, რომ ეს პროექტი, რომელიც ათასობით კილომეტრის რკინიგზას გულისხმობს, მალე დასრულდება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ენერგოსფეროში საერთო პროექტების განხორციელება. ეს კოორდინაცია ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც“, – განაცხადა აბდულა გიულიმ. (ინტერპრესნიუსი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„ჩვენი ოცნებაა, საქართველოში დაცული იყოს ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; სასამართლო იყოს სამართლიანი, მედია - დამოუკიდებელი, ბიზნესი - ხელშეუხებელი“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

# ვის და რატომ დასჭირდა „რუსთავი 2“-ში ფარული გადაღება?

## ხმაურიანი მედიასკანდალის 4 ვერსია



6 მაისს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ, თავის თანამშრომლებთან ერთად, საგანგებო ბრიფინგი გამართა და დღევანდელი ხელისუფლება ფარულ მოსმენებში დაადანაშაულა. მისი თქმით, „რუსთავი 2“-ის ოფისში მართალია, ფარული კამერები და მოსასმენი აპარატურა ვერ აღმოვაჩინეთ, მაგრამ მაინც გვიღებდნენ და გვისმენდნენო. ამავე დროს, მან აღიარებითი ჩვენება მისცა საზოგადოებას, ამ მავნე პრაქტიკის დანერგვაში დიდი წვლილი მეც მიმიძღვის და მაპატიეთო:

**„აუცილებლად მინდა, გავიხსენო წინა წლებში და პირადად ჩემი არცთუ პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულება ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით და ჩემი მხრივ, ბოდიში მოვიხადო იმისთვის, რომ მონაწილეობა მაქვს მიღებული ამ მანკიერი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. მართალია, ყველა ის ჩანაწერი, რომელიც ჩემთვის იყო ცნობილი, მოპოვებული იყო ლეგიტიმურად, მაგრამ მათი გავრცელება წარმოადგენდა სრულ სახელისუფლებო დისკრეციას. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილება მაშინ იქნა მიღებული არასწორად და ამგვარი პრაქტიკით შეილახა ბევრი ადამიანის ფუნდამენტური დაცული სიკეთე — პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ამ პრაქტიკის გამო ადამიანებმა, ვინც ამ ჩანაწერებში ფიგურირებდნენ, ჩემი ღრმა რწმენით, მიიღეს მნიშვნელოვანი რეპუტაციული და მორალური ზიანი, რისთვისაც ჩემს წუხილს გამოვხატავ. წინა ხელისუფლების ამ მანკიერ ტრადიციას, რომელიც მის მიერვე აღიარებულია, დღეს, სამწუხაროდ, განუხრელად დაადგა ახალი ხელისუფლებაც. მიუხედავად არაერთი დაპირებისა, რომ ამ მიმართულებით რადიკალური პოზიტიური ცვლილებები მოხდებოდა, ჩვენს შემთხვევაში პირიქით, ადგილი აქვს ჩვენთვის ცნობილ უპრეცედენტო შემთხვევას“.**

ესე იგი, გვარამია აცხადებს, მე დავაშავე, ყოფა გიტირეთ, მორალური ზიანი მოგაყენეთ, მაგრამ ამ ამბავმა უკვე ჩაიარა, მაპატიეთ, თუკი ამიერიდან ვინმე აქეთ მოგვისმენს, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოსო.

გვარამია კი ამბობს, ჩანაწერები შსს-დან მომაწოდესო, მაგრამ, რადგან ჩანაწერი აჩვენეს, მოდით, განვიხილოთ რამდენიმე ვერსია: **პირველი** – არ არის გამორიცხული, გვარამიას მართლაც უსმენდნენ კანონიერად, სასამართლოს სანქციით, რადგან ის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურშიც ჰყავდათ დაბარებული დასაკითხად. მასთან ერთად დაიბარეს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, ალექსანდრე ხეთაგურიც, საქმე ეხებოდა „თელასში“ თანხების უკანონო გადარიცხვებს. ამ საქმემ უბრალოდ გაიელვა და გაგრძელება აღარ მოჰყოლია. ყოველ შემთხვევაში, გვარამიამ ძველებურ სტილში გააგრძელა ცხოვრება;

**მეორე** – არც ის არის გამორიცხული, ყოფილ პროკურორს საკუთარი პატრონი უსმენდეს (თავად მხოლოდ გენერალური დირექტორია და ამ თანამდებობაზე ხომ ვიღაცამ, ანუ კომპანიის მეპატრონემ დანიშნა?), რომლის შესახებაც, ალბათ, ამ ქვეყანაში რამდენიმე ადამიანის გარდა არავინ იცის. საინტერესოა, რატომ არის ამ ტელეკომპანიის მეპატრონეების ვინაობა ასე გასაიდუმლოებული? ისმება კითხვა: რატომ უნდა უსმენდეს გვარამიას თავისივე მამა-მარჩენალი? აქ შესაძლოა, საქმე გვქონდეს ფინანსებზე საუბრის გაკონტროლებასთან.

**მესამე** – თუკი გვარამიას ფირი მართლაც შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიაწოდეს, მაშინ იგივე სამინისტროს გენინსპექციას დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო შიდა მოკვლევა, მაგრამ ასე არ მოხდა – როგორც პრესსამსახურის უფროსი, ნინო გიორგობიანი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ამ საქმეს მთავარი პროკურატურა გამოიძიებს და დაადგენს სიმართლეს;

**მეოთხე** – ეს ყველაფერი წინასწარ დადგმული სპექტაკლი და „ეს შენ გეხება – ყველას გვისმენენ“-ის გაგრძელებაა.

ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს კონფიდენციალური წყარო, რომელიც „ალიას“ სწორედ ამ საკითხზე დაუკავშირდა:

„რასაც დღეს გვარამია და მისი

*გაგრძელება მე-6 გვ.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №CONST-14/09 ღია კონკურსს ავტომატიკისა და თბური გაზომვების საამქროს მოწყობილობების კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 07 ივნისი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №CONST-14/08 ღია კონკურსს №9 ენერგობლოკის მილსადენების, მაღალი წნევის ჭურჭლების, აგზებისა და აირსავალების კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის" შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 07 ივნისი 15 საათი.*

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5 | 41

„ხელისუფლებისათვის ჩვენ ყველა სხვაგვარად მოაზროვნეები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები გხდებით მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობას ან მის ლიდერს კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს, გამჭვირვალე საარჩევნო სიებს, თავისუფალ მედიას, ანუ უბრალოდ ვიცავთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს. უფლებებს, რომლებმაც ჩვენ და ჩვენი სამშობლო ცივილიზებული სამყაროს ნაწილად უნდა აქციოს".

ბიძინა ივანიშვილი. 2011 წელი, 11 დეკემბერი

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეხუთე გვერდიდან*

ხელქვეითები აკეთებენ, ეს არის სრული მარაზმი და ტაკიმასხარაობა. გვარამია „ნაციონალების" დავალებით ეწევა თვითშემოქმედებას. ასეთი სპექტაკლების დადგმაში ის ძალიან გაწაფულია, გაიხსენეთ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების პერიოდი, როცა ის თავად გამოდიოდა ტელევიზიით და აკეთებდა განმარტებებს უკანონოდ მოპოვებული ფირების თაობაზე. მეტიც, გვარამია ბოდიშს იხდის, რომ მონაწილეობა აქვს მიღებული მანკიერი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში და თან დაბეჯითებით იცის, რომ ყველა ის ჩანაწერი, რომელიც მისთვის იყო ცნობილი, მოპოვებული იყო ლეგიტიმურად. აქაც ცრუობს გვარამია, არაფერი არ იყო ლეგიტიმური და ასეც რომ ყოფილიყო, რა უფლებით ავრცელებდა, რა უფლებით ასაჯაროებდა ჩანაწერებს? ეს სპექტაკლი დაიგეგმა „რუსთავი 2"-ის ოფისში 5 მაისს, როცა იქ შეიკრიბნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური და სხვები... ეს ის არასამთავრობოებია, რომლებიც 24 საათის განმავლობაში ყვირიან, არიქა, გვისმენენო. ეს ადამიანები უკვე მიხვდნენ, რომ საკუთარ სიცრუეში იძირებოდნენ და გადაწყვიტეს, ასეთი გზით მოეპოვებინათ ე.წ. მტკიცებულება. 6 მაისს, დილით „რუსთავორელებმა" კიდევ ერთხელ გამოიძახეს არასამთავრობოები და ჰკითხეს: ასე და ასეა ჩვენი საქმე, რა გავაკეთოთო? ეს ამბავი სასწრაფოდ უნდა გაასაჯაროოთო. კი, მაგრამ მოსასმენი და გადამღები აპარატურა რომ დავდოთ, აუცილებლად გავიშიფრებითო. კაი, კაცო, ახლა მთავარია, სკანდალი აგორდეს, მერე თავი ხელისუფლებამ იმართლოსო.



**„ფაქტი იყო შოკისმომგვრელი და ყველას გაგვიჩნდა კითხვა, ვინ დგას ამ ფარული თვალთვალისა და აუდიო და ვიდეომიყურადების უკან? ველით ამ კითხვაზე პასუხს..."**

ნიკა გვარამიასა და მის „მრევლს" არ დაავიწყდეთ „იმედში" შევარდნა და შემდეგ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება, ახლა რა ნამუსით ითხოვენ ჟურნალისტების თანადგომას, მაშინ რა პოზიცია დაიკავეს?"

„ალია" კომენტარისთვის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელს, ნინო ლომჯარიას დაუკავშირდა, რომელიც უარყოფს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ 5 მაისს „რუსთავი 2"-ის ოფისში შეკრება ჩატარდა. მისი თქმით, ისინი არ მონაწილეობენ რაღაც დადგმულ სპექტაკლებში. მისივე თქმით, მოსმენებთან დაკავშირებული კანონი უნდა იყოს გამართული და ვისაც ეს არ აწყობს, ის ათასნაირ ჭორს მოიგონებს. გარდა ამისა, უნდა ჩატარდეს გამოძიება „რუსთავი 2"-თან დაკავშირებით, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

ჟურნალისტი ზაალ უდუმაშვილი კოლეგებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს: თურმე ამ შემთხვევაში საქმე არ არის მხოლოდ „რუსთავი 2"-ში, ჩვენ მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით შევძლებთ, რაღაც შედეგს მივაღწიოთ, იმისთვის, რომ ხვალ, ზეგ ან მომავალში სხვა მედიასაშუალებები არ აღმოჩნდნენ ანალოგიური პრობლემის წინაშე. „რუსთავი 2"-ის თანამშრომლებიც ნიკა გვარამიას „სახარების" მიხედვით მსჯელობენ: კი, ბატონო, ჩვენ დავაშავეთ, ბევრი სიბინძურე ჩავიდინეთ, მაგრამ ახლა სხვა დროა, ასეთი რაღაცების გაკეთება აღარ შეიძლება, ეს ადამიანის უფლებების დარღვევააო.

„რუსთავი 2"-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, ნინო შუბლაძემ ტელევიზიაში ფარულად დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების აღმოჩენასთან (არადა, სად არის აღმოჩენა, ნიკა გვარამიამ ხომ მხოლოდ ნახვრეტები ნახა? ასე აცხადებს თვითონ) დაკავშირებით ასეთ კომენტარს აკეთებს: „ფაქტი იყო შოკისმომგვრელი და ყველას გაგვიჩნდა კითხვა, ვინ დგას ამ ფარული თვალთვალისა და აუდიო და ვიდეომიყურადების უკან? ველით ამ კითხვაზე პასუხს, გვაქვს იმედი, რომ შესაბამისი ორგანოები დროულად დაინტერესდებიან ამ ფაქტით და რაც შეიძლება, მოკლე დროში მოხდება გამოძიება და გაეცემა პასუხი ჩვენი, კოლეგების, ჟურნალისტების კითხვებს, ვინ ახორციელებდა ამ ყველაფერს ტელევიზიაში".



**როგორც ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ვახტანგ მაისაია ამბობს „ალიასთან" საუბარში,**

**„დაუკვირდით, ვიდეოფირზე არც ტაიმერია, არც წამმზომი, აშკარად ჩანს, რომ ეს არ არის ფარული კამერით გადაღებული... გვარამია აცხადებს, ეს ფირი შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოგვაწოდესო. რა გამოდის? „ნაციონალებს" შინაგან საქმეთა სამინისტროში ჰყავთ აგენტები?"**

**ეს არის კარგად დაგეგმილი პროვოკაცია:**

„დაუკვირდით, ვიდეოფირზე არც ტაიმერია, არც წამმზომი, აშკარად ჩანს, რომ ეს არ არის ფარული კამერით გადაღებული. ამას დავანებოთ თავი, გვარამია აცხადებს, ეს ფირი შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოგვაწოდესო. რა გამოდის? „ნაციონალებს" შინაგან საქმეთა სამინისტროში ჰყავთ აგენტები? მე ადრეც ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ იქ ორჯონიკიძეები და ჯალათები ჯერ კიდევ მუშაობენ, რომლებიც „ნაციონალებთან" არიან შეკრულები. ყოველ შემთხვევაში, გვარამია ამას მიდასტურებს. სხვათა შორის, ნანუკა ჟორჟოლიანსაც წამოსცდა ტელევიზიით გამოსვლისას, ჩვენ ვიცით, კოდუასთან დაკავშირებით როგორც მიდის გამოძიება პროკურატურაშიო. გამოდის, იქაც ჰყავთ აგენტები და ყველაფერი იციან. დავუკვირდეთ კიდევ ერთ ფაქტს, ორი დღის წინ ცნობილი გახდა „ენდიაის" კვლევების შედეგები, სადაც თეთრზე შავით წერია, რომ მოსახლეობის 40 პროცენტს „რუსთავი 2" „ნაციონალების" ტელევიზიად მიაჩნია, ეს არის მათი იდეოლოგიური აპარატი. როგორც კი ეს ინფორმაცია გახდა ცნობილი, ეგრევე მოიფიქრეს რაღაცით გადაფარვა და დადგეს კიდეც სპექტაკლი".

**საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, „რუსთავი 2"-ის განცხადების საფუძველზე, რომელიც უკანონო ფარულ მიყურადებასა და თვალთვალს ეხება, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლით დაიწყო. როგორც პროკურორი, კოკა კაციტაძე აცხადებს, პროკურატურაში უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამ თემაზე იმუშავებს, შეისწავლის ყველა მასალას და დაკითხავს ყველა იმ პირს, ვისაც შეიძლება ამ თემაზე რაიმე ინფორმაცია ჰქონდეს.**

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სამოქალაქო სექტორი „რუსთავი 2"-ში მოსმენებზე გამოძიებას ითხოვს

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილს, „რუსთავი 2"-ში მომხდარი ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, კარტერის ისტორიას აგონებს.

„მან ინამუსა, ღირსება შეინარჩუნა და გადადგა. დღეს ჩვენს ხელისუფლებაში არავის ეყოფა ღირსება, წავიდეს და თქვას, რომ ეს მისი ბრალია. პირიქით, დღეს ხელისუფლება დაიწყებს იმის გამართლებას, რომ ეს მათ არ გაუკეთებიათ და „რუსთავი 2"-ის გენერალურმა დირექტორმა და საინფორმაციო სამსახურის უფროსმა თავად დაამონტაჟეს, რომ ამაზე სკანდალი აეტეხათ. ეს რიტორიკა სააკაშვილმა მე-4 წელს დაიწყო, ამათ კი ძალიან ადრე გამოუვიდათ", – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძის განცხადებით, არ არის გარანტია იმისა, რომ „რუსთავი 2"-ის მსგავსად სხვა მედიასაშუალებებიც არ დადგნენ მსგავსი ფაქტის წინაშე.

„ეს ის შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურების გარდა, რომლის მიმართაც ნდობა შეიძლება არ იყოს მაღალი, არ იქნებოდა ურიგო, რომ საზოგადოებას შეექმნა, რაღაც ალტერნატიული კომისია, რომლის მიმართაც ნდობა უფრო მაღალი იქნებოდა და რომელიც დაადგენდა რეალობას. იმ ფონზე, როცა არსებობდა კამპანია მოსმენების წინააღმდეგ „ეს შენ გეხება", ამ ინფორმაციის გამოქვეყნება არის ძალიან სერიოზული დარტყმა უპირველესად ხელისუფლებისთვის. იმიტომ, რომ ეს გამოდის პირდაპირ მედიის წინააღმდეგ ბრძოლა. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას, ტელეკომპანიის მენეჯმენტის მოსმენებისა და ჩანაწერების გაკეთება?", – განაცხადა ლაგაზიძემ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, თამარ ქალდანი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, დაუყოვნებლივ შეისწავლონ აღნიშნული საკითხი და დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მოახდინონ სათანადო რეაგირება.

„სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი ნინო ლომჯარია მიიჩნევს, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა დამატებითი მტკიცებულებები უნდა გაასაჯაროოს.

„მხოლოდ ამ ფაქტების გავრცელება არ ადასტურებს, რომ ეს ნამდვილად შსს-ს მიერ იყო მოძიებული. აუცილებელია, რომ ამ მიმართულებით ჩატარდეს გამოძიება, რადგან მხოლოდ ამ ფაქტების გასაჯაროება ამ ეტაპზე უტყუარ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება.



საინტერესოა ის, რომ დღევანდელ შეხვედრაზე „რუსთავი 2"-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გააჩნიათ სხვა, არაერთი აუდიომასალა საჯარო პირების პერსონალური ინფორმაციისა და კომუნიკაციის შემცველი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გაასაჯაროებენ. რა თქმა უნდა, ეს უფრო გაამყარებს იმ ეჭვებს, რომ ეს ვიდეომასალაც მოპოვებულია შსს-ს მიერ და შემდეგ გადაცემული და გაჟონილი ასევე შსს-დან. თუ „რუსთავი 2"-ს სხვა დამატებითი მტკიცებულებები გააჩნია, აუცილებლად უნდა გაასაჯაროოს". – განაცხადა ნინო ლომჯარიამ. მისი თქმით, „რუსთავი 2"-ს რამდენიმე წყარო ჰყავს, რომლებიც შსს-ში მუშაობენ, თუმცა ის წყაროს ბუნებრივია, ვერ ასაჯაროებს.

„ვფიქრობ, რომ გამოძიებით შესაძლებელია დადგინდეს, ვის აქვს წვდომა და ვინ როდის გაიტანა ინფორმაცია. აქ ორი საკითხია პრობლემატური – ერთი ის, რომ უკანონო თვალთვალი და მიყურადება ისევ ხდება და მეორე – რომ ჩვენი პერსონალური ინფორმაციის შემცველი მასალა შსს-ში სათანადოდ დაცული არ არის. როგორ ჩანს, მასზე ხელი მიუწვდება პირთა დიდ წრეს, რომელთაც შეუძლიათ თავისუფლად გაიტანონ ეს ინფორმაცია და სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენონ", – განაცხადა ლომჯარიამ. (ფრონტნიუსი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

**„მედია უნდა გავათავისუფლოთ სახელმწიფო კონტროლისაგან, იგი უნდა იქცეს ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთოს არჩევანი; სასამართლო უნდა დავიცვათ ნებისმიერი გარე გავლენისგან, ხოლო მართლმსაჯულების აღსრულება უნდა დავაფუძნოთ ერთადერთ პრინციპზე კანონის უზენაესობაზე“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

# რამაზ საყვარელიძე: „პოლიტიკური პარტიით მობრუნდება ივანიშვილი პოლიტიკაში თუ სხვა მექანიზმებით, ეს არ ვიცი. მე ვხედავ საფრთხეს...“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი ტელეკომპანია „იმედის“ კითხვას, მოსალოდნელია თუ არა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვა ევროკავშირთან საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ორაზროვნად პასუხობს, ჩვენ ვართ დაკავებული რეზიუმეების შეცვლით, ფერადი რევოლუციების მოწყობით, მით უმეტეს ყავისფერი ლაქებით, როგორიც ეს უკრაინაში მოხდა, ევროკავშირსა და ამერიკას ჰკითხეთ, რა გეგმები აქვთ, თუ საქართველო არ გააკეთებს ისე, რასაც ელოდებიან. რუსეთისთვის ყოვლად გაუგებარია ევროკავშირის რეაქცია უკრაინის ლეგიტიმური ხელისუფლების გადაწყვეტილებაზე, დროებით გადაედო ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმება. დასავლეთმა მაშინვე დაუჭირა მხარი უკრაინაში სახალხო პროტესტს, რომელსაც სათავეში მალევე ჩაუდგნენ რადიკალები და სისხლი დაიღვარა. დასავლეთმა გადაწყვიტა, რუსეთს გამოგლიჯოს უკრაინა, ჩვენ არანაირი განზრახვა არ გვქონია, რაიმე მოგვეწყო უკრაინაში.

**რა ქვეტექსტი შეიძლება წავიკითხოთ რუსეთის ნომერ პირველი დიპლომატის განცხადების მიღმა? ემზადება თუ არა რუსეთი საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების მოწყობისთვის? გახდება თუ არა ქართველი საზოგადოებისთვის განხეთქილების ვაშლი ანტიდისკრიმინაციული კანონი?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე „ალიას“ პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

**— როგორც პოლიტოლოგი, რა ქვეტექსტებს კითხულობთ ლავროვის განცხადებაში, რა საფრთხეები გვემუქრება დასავლეთისგან, თუკი საქართველო არ გადადგამს იმ ნაბიჯებს, რასაც ჩვენგან ელიან?**

– სავარაუდოდ, ორი ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ: რუსეთი არ ფიქრობს გავლენის დაბრუნებას, რომელიც მას ჰქონდა, არის წმინდა პოლიტიკური ფრაზა იმისათვის, რომ გააფრთხილოს რუსეთმა საზოგადოება, ევროპის ხელში თუ ჩავარდები, სწორედ ესაა სახიფათო. ამ შემთხვევაში მე მგონია მეორე ვარიანტი, რადგან რუსეთში ანტიევროპული განწყობა და ევროპის ლანძღვა ზენიტშია, ამ განცხადებით რუსეთმა საქართველო დააშინა, რომ თქვენ მიერ არჩეული პროდასავლური გზა ცუდის მეტს არაფერს მოგიტანთო.



„ალასანიასა და „რესპუბლიკელების“ დამოკიდებულება „ნაციონალებისა“ და თავად სააკაშვილის მიმართ ძალიან მკვეთრი რომ არ არის, ეს გასაკვირი არ გახლავთ, „რესპუბლიკელებიც“ „ნაციონალებში“ იდგნენ თავის დროზე და ალასანიაც. ასე რომ, „რესპუბლიკელებისა“ და ალასანიას რბილი დამოკიდებულება აიხსნება იმით, რომ მათ არ უწნევიათ საკუთარ თავზე ის სიმწარე, რაც რეჟიმმა ხალხის უმრავლესობა და პარტიები გამოატარა“

**— ვიდრე ამ თემას უფრო მეტად გავშლიდეთ, თავდაცვის მინისტრის განცხადებებზე ჩაგეკითხებით, რომელიც სახელისუფლებო კონტექსტიდან ამოვარდნილია, „ბრუქიმიგსის“ ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ქვეყნის დამოუკიდებლობა მოიპოვა, მეორემ საერთაშორისო რუკაზე დააფიქსირა საქართველო, ხოლო პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ძლიერია, ამჟამინდელი პრემიერი კი ყველაფერს აკეთებს წინა მთავრობების წარმატების საფუძველზე საქართველო კიდევ უფრო დაუახლოოს ნატოს“. მანამდე კი ალასანიამ თქვა, რომ ჩვენ „ნაციონალებს“ ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ. თუ ხელისუფლება თანხმდება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება იყო დამნაშავე რეჟიმი და მათი მოსვლის წინაპირობაც სწორედ ეს ლოზუნგი გახლდათ, დღეს როგორღა აღმოჩნდა ალასანიასთვის სააკაშვილი სახელმწიფო ინსტიტუტების გამაძლიერებელი?.. ფაქტობრივად, მისი განცხადებით გამოდის, რომ სწორედ სააკაშვილმა შექმნა სახელმწიფო, როგორც ძლიერი ინსტიტუტი. ვის ეკეკლუცება ალასანია?**

– ალასანია საერთოდ საინტერესო პოლიტიკური ფიგურაა იმ პოლიტიკოსებს შორის, ვინც დღეს პოლიტიკაშია. თუ მის პოლიტიკურ ისტორიას გავიხსენებთ, დასაწყისი კარგი ჰქონდა, ის იყო კოალიციაში შემავალი პირველი წევრი, ვიცე-პრემიერი, შემდეგ კი ძალიან ადვილად დაიწყო დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როდის დგამ დამოუკიდებელ ნაბიჯს. თუ დროზე ადრე გადადგი დამოუკიდებელი ნაბიჯი, ამას დიდი მარცხი მოჰყვება. აქამდე ალასანიას ივანიშვილთან ურთიერთობაში მცირე მარცხები ჰქონდა, აშკარაა, რომ ალასანიამ არჩია მოქმედების დამოუკიდებელი სტილი. მისი მხრიდან, ეს არის მორიგი ინდივიდუალიზმის გამოვლენა, რაც არ მგონია, რომ გუნდთან იყოს შეთანხმებული, რომლის ხელმძღვანელიც დღეს ღარიბაშვილია. ალასანიასა და „რესპუბლიკელების“ დამოკიდებულება „ნაციონალებისა“ და თავად სააკაშვილის მიმართ ძალიან მკვეთრი რომ არ არის, ეს გასაკვირი არ გახლავთ, „რესპუბლიკელებიც“ „ნაციონალებში“ იდგნენ თავის დროზე და ალასანიაც. ასე რომ, „რესპუბლიკელებისა“ და ალასანიას რბილი დამოკიდებულება აიხსნება იმით, რომ მათ არ უწნევიათ საკუთარ თავზე ის სიმწარე, რაც რეჟიმმა ხალხის უმრავლესობა და პარტიები გამოატარა. „ნაციონალების“ სიმწარე ყველაზე მეტად იწვნია საარჩევნო კამპანიის დროს თავად „ოცნებამ“, როგორც პარტიამ და „ოცნებაში“ შემავალმა ლიდერებმა. პირადი გამწარება სააკაშვილისგან არც ალასანიასა და არც „რესპუბლიკელებს“ არ აქვთ, ამიტომ, მათი სირბილე ნუ გაგვიკვირდება „ნაციონალების“ მიმართ, თუმცა მათი მხრიდან ასეთ რბილ ნაბიჯებს დიდი პერსპექტივა არ აქვს. მათი მხრიდან ეს არის წამგებიანი ნაბიჯი, ალასანიასა და „რესპუბლიკელების“ რეიტინგი „ნაციონალების“ რეიტინგისგან დიდად არ განსხვავდება.

**— თქვენ გამორიცხავთ, რომ ალასანიას „დემოკრატებმა“, „რესპუბლიკელებმა“ და „ნაციონალებმა“ ალიანსი შექმნან და კოალიციურ რეჟიმში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოვიდნენ?..**

– გამორიცხული არაფერია, ერთმანეთთან დამოკიდებულების ფონზე. ალიანსები პოლიტიკური პრაგმატიზმით იქმნება, წამგებიანია თუ მომგებიანი ის. თუკი უმრავლესობა ამ გზით გააგრძელებს სიარულს, სადაც არ იქნება ხალხისა და საპატრიარქოს აზრი გათვალისწინებული, რა შეიძლება მოიმოქმედოს გაბრაზებულმა ამომრჩეველმა? ამ დაპირისპირებაში შეიძლება, მესამე ძალას დაუჭიროს მხარი. ერთი მხრივ სერიოზული განაცხადია გაკეთებული ბურჯანაძის მხრიდან, მეორე მხრივ განცხადებებს აკეთებს კუკავა, ეს ორი ძალა ბურჯანაძე-კუკავა აქცენტს აკეთებს იმ საკითხებზე, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს, რითაც უპირისპირდებიან „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“. ასე რომ, ეს ორი ძალა ცდილობს, იპოვოს იქ თავისი ნიშა, სადაც ხალხი ერთსულოვანია.

**— „ლგბტ“ საზოგადოების „ანტიდისკრიმინაციის“ პარალელურად ხდება თუ არა უმრავლესობისა და საპატრიარქოს დისკრიმინაცია. თუკი არ გაითვალისწინებს საპარლამენტო უმრავლესობა ხალხისა და პატრიარქის მოთხოვნას, უნდა ველოდოთ თუ არა აქციების ტალღას, რასაც ასეა ჩასაფრებული რუსეთი?..**



*გაგრძელება მე-8 გვ.*

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2014/02 ფასთა ღია გამოკითხვას №1 და №2 ჰიდროაგრეგატების მიმდინარე რემონტთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 21 მაისი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2014/03 ფასთა ღია გამოკითხვას ჰიდროტექნიკური ნაგებობების გეოდეზიური ჯდომების შემოწმებასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, ა. აფაქიძის ქ. №7/6

*წინადადებების მიღების ბოლოს ვადაა 2014 წლის 21 მაისი 15 საათი.*

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

„ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას სამართლიანი სასამართლოსთვის და სამართალდამცავი სტრუქტურების პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებისათვის, რათა სამართალი დავუბრუნოთ ხალხს“.

ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეშვიდე გვერდიდან*

– დიახ, არის ამის რეალური საფრთხე, ამ საპროტესტო ტალღით ისარგებლებს დაინტერესებული პოლიტიკური ძალა, მაგრამ ეს საპროტესტო ტალღა არ იქნება ისეთი, რომელსაც ექნება სასურველი ეფექტი, თვითონ პატრიარქი არ დაუშვებს, რომ ამ პროცესებს მისცეს კალაპოტიდან გადასვლის საშუალება. ის არ დაუშვებს, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის წყარო საპროტესტო აქციები გახდეს. ასე რომ, პატრიარქი ამ შემთხვევაში იქნება ძალიან ფრთხილი. მაგრამ მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ აქციებმა თვითმმართველობის არჩევნებზე მოახდინოს გავლენა.



„ეს საპროტესტო ტალღა არ იქნება ისეთი, რომელსაც ექნება სასურველი ეფექტი, თვითონ პატრიარქი არ დაუშვებს, რომ ამ პროცესებს მისცეს კალაპოტიდან გადასვლის საშუალება. ის არ დაუშვებს, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის წყარო საპროტესტო აქციები გახდეს. ასე რომ, პატრიარქი ამ შემთხვევაში იქნება ძალიან ფრთხილი“

**— საპარლამენტო უმრავლესობა წავიდა ხალხისა და პატრიარქის წინააღმდეგ არჩევნების წინ. როგორ ფიქრობთ, რისი იმედი აქვთ მაშინ, როცა მათ მერის პოსტზე არცთუ ისე ძლიერი კანდიდატურა ჰყავთ წარმოდგენილი?**

– მეც არ მესმის, არჩევნების წინ ასეთი საკითხის გამოტანას და ასეთი მწვავე საკითხის გააქტიურების ლოგიკა ჩემთვისაც ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ გაუგებარია.

**— მივდივართ თუ არა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გზით? არსებული ინფორმაციით, ივანიშვილი უკმაყოფილოა საპარლამენტო უმრავლესობით, პრეზიდენტით, რომელმაც იმედები გაუცრუა, კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ამ არჩევნებში ვიქნებით ერთად, თუმცა საპარლამენტო არჩევნებში ყველა თქვენ-თქვენი გზით წახვალთო. თქვენი აზრით, აქვს თუ არა ივანიშვილს სურვილი, კვლავ შემოვიდეს პოლიტიკაში, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშე, შექმნას ახალი პარტია, რომელიც კონკურენტი იქნება არა „ოცნების“ და „ნაციონალების“, არამედ არის ვერსია, რომ ის კონკურენტად გაიხდის პარტია „ქართულ ოცნებას“.**

– იმდენად ჩქარა დგება საპარლამენტო არჩევნები, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა აზრს კარგავს. ის, რომ ივანიშვილს საპარლამენტო არჩევნებზე ასეთი პოზიცია ჰქონდეს, ეს საუბრის სხვა თემაა. მან ადრეც რამდენჯერმე განაცხადა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ლიდერზე ჩამოკიდებული კოალიცია აღარ იქნება და ყველამ თავის თავს მიხედოსო. პოლიტიკური პარტიით მობრუნდება ის პოლიტიკაში თუ სხვა მექანიზმებით, ეს არ ვიცი. მე ვხედავ საფრთხეს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ჩვენ მივიღებთ ერთპარტიულ სისტემას, თუკი ამ არჩევნებზე არ გამოჩნდება სხვა პოლიტიკური ძალა, რომელიც მეორე პოზიციას დაიკავებს, მოხდება ისე, რომ პარტია „ქართული ოცნება“ მიიღებს ყველაზე მეტ ხმას, „ნაციონალები“, „რესპუბლიკელები“ და ალასანია დარჩებიან უმცირესობაში და ჩვენ გვეყოლება ის, რასაც მთელი ამ წლების მანძილზე ვებრძოდით – ერთპარტიული მმართველი ძალა, პარტია „ქართული ოცნება“, რომელიც საპარლამენტო არჩევნებზე გამოვა დამოუკიდებლად და რა თქმა უნდა, მას უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება, ვიდრე კოალიციაში დღეს შემავალ პოლიტიკურ ძალებს.

**— დაბოლოს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები, სულ რამდენიმე ხნის წინ თურქეთმა და აზერბაიჯანმა გააფორმეს სამხედრო ალიანსი და თურქეთი იღებს ვალდებულებას სამხედრო აგრესიის შემთხვევაში დაიცვას ოფიციალური ბაქო. როგორ ფიქრობთ, მსგავსი სამხედრო შეთანხმება შედგება თუ არა საქართველოსთან მიმართებაში, რადგან ჩვენ რუსეთისგან პოტენციური საფრთხე გველოდება?**

– არ მგონია, რომ საქართველოსთან მიმართებაში მსგავს პოზიციამდე იყოს საქმე მისული. თურქეთი კი არის ჩვენი ძლიერი მხარდამჭერი, მაგრამ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სამხედრო პოტენციალი არ გამოიყურება სამაგისოდ. არის მეორე რამ, რაც შედის თურქეთის ინტერესებში, საქართველოს უსაფრთხოება თურქეთისთვის მნიშვნელოვანია, ეს ინტერესი ნავთობის თემით არის განპირობებული. თუკი რომელიმე ქვეყანა, საქართველო, ან აზერბაიჯანი აღმოჩნდება რუსული ჩექმის ქვეშ, ეს ნიშნავს, რომ ავტომატურად ჩნდება ნავთობსადენის პრობლემა, რითაც თურქეთი დიდ დანაკლისს ნახავს. მე მეეჭვება, რომ ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტული შეთანხმება გაფორმდეს, რადგან ასეთი აქტები გამაღიზიანებელია ისეთი ნერვიული და მგრძნობიარე ქვეყნისთვის, როგორიც არის რუსეთი, მაგრამ ის, რომ ასეთი სცენარები განიხილებოდეს, სავსებით ბუნებრივია. ჩვენ მოვისმინეთ პრესკონფერენციაზე, რომ მათი მხრიდან უსაფრთხოებაზეც იყო საუბარი და სავსებით მოსალოდნელია, რომ შავი ზღვისპირა ქვეყნების ერთიანი უსაფრთხოების თემა იყოს განხილული, რადგან იმ პროექტების, რაც იყო შეხვედრის ძირითადი თემა, უსაფრთხოების საკითხი დგას, ნავთობსადენისა და გაზსადენის. შეიძლება საჯაროდ არ ითქვას, მაგრამ ამ პროექტების უსაფრთხოება ძალიან მნიშვნელოვანია, შეიძლება ეს ასაფრიალებელი დოკუმენტი არ იყოს, რადგან არ მოხდეს რუსეთის გაღიზიანება. ლავროვის რეპლიკით დავიწყეთ ჩვენი ინტერვიუ და მაგ რეპლიკასაც ნერვიული ტონი ახლავს. ასე რომ, დღეს რუსეთი ძალიან მგრძნობიარეა, ყველაფერზე აგრესიულ, ანტიევროპულ, ანტიმსოფლიო რეპლიკებს იძლევა, ამ პირობებში მორიგი ხელშეკრულების გაფორმება, რომელსაც ანტირუსული იერი თავისთავად ექნება, არა მგონია, თავისი ქვეტექსტით ხელსაყრელი იყოს ამ ქვეყნებისთვის.



**„ის, რომ ივანიშვილს საპარლამენტო არჩევნებზე ასეთი პოზიცია ჰქონდეს, ეს საუბრის სხვა თემაა... პოლიტიკური პარტიით მობრუნდება ის პოლიტიკაში თუ სხვა მექანიზმებით, ეს არ ვიცი. მე ვხედავ საფრთხეს...“**

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვიქტორ დოლიძემ ბერძენ კანონმდებლებთან ქართული პოლიტიკა მიმოიხილა



საბერძნეთში სამუშაო ვიზიტად მყოფმა საპარლამენტო დელეგაციამ ბერძენ კანონმდებლებთან შეხვედრები გამართა. დელეგაციის ხელმძღვანელმა, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ დოლიძემ საგარეო საკითხთა და ეროვნული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, კონსტანტინოს ციარასს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები და ის დემოკრატიული რეფორმები გააცნო, რომელიც საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარდა. საუბარი შეეხო ადამიანის უფლებების დაცვის სამოქმედო სტრატეგიას, თვითმმართველობის კოდექსს და ახალი საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას.

ვიქტორ დოლიძემ ყურადღება გაამახვილა ივნისის ბოლოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობასა და შემოდგომაზე გასამართ ნატოს სამიტზე. მან უკრაინის კრიზისი, მთლიანად რეგიონში არსებული სიტუაცია და რუსეთთან მიმართებაში ქართული პოლიტიკაც მიმოიხილა. კონსტანტინოს ციარასმა კმაყოფილება გამოთქვა ქართველი დეპუტატების ათენში სტუმრობის გამო და აღნიშნა, რომ მსგავსი ვიზიტები ორი ქვეყნის პარლამენტების კიდევ უფრო დაახლოებისთვის მნიშვნელოვანია. მან პარლამენტის სახელით ევროსტრუქტურებში საქართველოს მისწრაფებებს მხარდაჭერა გამოუცხადა და ამ მიმართულებებით თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა.

საბერძნეთის პარლამენტში სტუმრობისას მეგობრობის ჯგუფმა შეხვედრა ბერძენ კოლეგებთანაც გამართეს. შეხვედრაზე საუბარი ძირითადად კულტურულ და ისტორიულ ურთიერთობებზე გამახვილდა და განსაკუთრებით ხაზი გაესვა არგონავტების შესახებ ერთობლივ პროექტს, რომლის გამართვაც ორივე ქვეყანაში მიმდინარე წელს იგეგმება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## სამამულო ომის გმირის ნეშტს მშობლიური მიწა მიიბარებს



7 მაისს თბილისში 1941-1945 წლების სამამულო ომში დაღუპული მამია ტაბატაძის ნეშტს ჩამოასვენებენ.

მამია ტაბატაძე ამ დრომდე დაკარგულად იყო მიჩნეული. სრულიად რუსეთის სამძებრო მოძრაობის ინფორმაციით, მისი ნეშტი ქალაქ სმოლენსკში გათხრების შედეგად აღმოაჩინეს. ადგილზე ნაპოვნია ასევე ჯარისკაცის კუთვნილი სარკე, მისი დოკუმენტების ნაწილი და მეომრის მედალიონი.

ჯარისკაცის ნეშტი რამდენიმე დღის წინ „რუსეთში ქართველთა კავშირის“ წარმომადგენლებს გადაეცათ, რომლის დაფინანსებითაც მას სამშობლოში ჩამოასვენებენ. თბილისში მას კავშირის დირექტორი ნუგზარ ჭანტურია, ასევე სმოლენსკის სამძებრო ბრიგადის წარმომადგენლები ანდრეი ფეტისოვი, ევგენი მანუილოვი და მარინა პიროჟკოვა ჩამოაცილებენ. ჯარისკაცის ნეშტს ხვალ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ოჯახის წევრები და ახლობლები დახვდებიან, რომლებიც მას საჩხერეში, მშობლიურ სოფელ კორბოულში გადაასვენებენ.

სმოლენსკის სამძებრო კომიტეტის ინფორმაციით, 1941 წლის 16 ნოემბერს მოსკოვის ოლქის ლოტოშინსკის რაიონის სოფლებში ამიერკავკასიაში ფორმირებული მე-17 დივიზიის 200-მდე მებრძოლი დაიღუპა. საძიებო რაზმის წარმომადგენლის ვალერი ანანიევის მიერ „რუსეთში ქართველთა კავშირისთვის“ მიწოდებული სიის თანახმად, ამ დრომდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად საქართველოდან საომრად წასული 40 ჯარისკაცი ითვლება.

რუსული ალექსანდროვსკის იმპერიული კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2013 წლის 4 ნოემბერს ქართველ ჯარისკაცს სიკვდილის შემდეგ ჯილდო მიენიჭა. (ფრონტნიუსი)

## „ახალი იდეები გაქვთ, იმპროვიზაციის უნარი გაქვთ, ინიციატივებს იჩენთ“



„რუსთავი 2“-ის განცხადებას მოსმენებთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრი გამოეხმაურა. მისი თქმით, „რუსთავი 2“-ს იმპროვიზაციის უნარი აქვს და ინიციატივას იჩენს.

„თქვენ გჯერათ? მე მგონი, აქაც არის ფარული კამერები“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. მან ასევე მიმართა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს, რომ „ეს ტელევიზია განსაკუთრებით აქტიურობს“. „ახალი იდეები გაქვთ, იმპროვიზაციის უნარი გაქვთ, ინიციატივებს იჩენთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

„დღეს ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას იმისთვის, რომ მკვეთრად შევცვალოთ საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრება უკეთესობისკენ“.

ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



შემდგომში უკვე თვითღირებულებაში თუ ვერ ჩაეტია, ბუნებრივია, მოგვიწევს გავზარდოთ ფასი პურზე. საცხობებს მხოლოდ რამდენიმე დღის მარაგი უდევთ. აღარ არის ძველი დრო, ბუნკერებში რომ ინახავდნენ ფქვილს. თუკი მე ძვირად მომცემენ ფქვილს, იძულებული გავხდები, მოვუმატო ფასს. დიდ ქარხნებს ნაკლები პრობლემა აქვთ, იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ თუკი პროდუქცია თვითღირებულებას გადააჭარბებს, ცოტა ხნით მაინც შეინარჩუნონ ფასი. ვინც ვერ უზრუნველყოფს ფასის შენარჩუნებას გაძვირებული ფქვილის ფონზე, მოუწევთ გაზარდონ პურის ფასი, ამ შემთხვევაშიც წაგებული ვართ ჩვენ, ვინაიდან მოჩვენთან კი ყველაფერი უცნაურად ხდება. ამის ნათელი მაგალითია, რომ ახლა იმატებს ფქვილის ფასი“.

**ფქვილსა და ხორბალზე ფასის მომატებაში პრობლემას ვერ ხედავს „მეხორბლეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ლევან სილაგავა:**

– მხოლოდ საქართველოში არ გაძვირებულა ხორბალი, ასევე გაძვირდა მსოფლიო ბირჟებზე. ჩიკაგოშია მისი ძირითადი ბირჟა და ევროპაში – პარიზში. ამ ბირჟებზე მოიმატა ხორბლის ფასმა იმიტომ, რომ მოსალოდნელი ხორბლის პრობლემები არის ამერიკის შეერთებულ შტატებში და ვინაიდან სამხრეთ ნახ-

# „ამას აკეთებენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორები, ახლა ხორბლის იმპორტიორებმა დაიწყეს ეს თაღლითობა“

## რატომ გაძვირდა ფქვილი?

ფოთში შემოტანილი ხორბლის ფასმა მოიმატა. თუკი აპრილში 1 ტონა ხორბლის ღირებულება 280 დოლარი იყო, ამჟამად ის 310 დოლარამდეა გაზრდილი. მოიმატა ტომარა ფქვილის ფასმაც და 37-დან 39 ლარამდეა, აპრილში კი 35-36 ლარი ღირდა. ფქვილის ფასის გაძვირებას უკრაინის მოვლენებს უკავშირებენ, თუმცა „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ხორბალი გაძვირდა ჩიკაგოს ბირჟაზეც და 272 დოლარს გადააჭარბა, რაც 2013 წლის მარტის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

მოიმატებს თუ არა საქართველოში პურის ფასი?

**პურპროდუქტების მწარმოებელი კომპანია, „იფქლის“ ფინანსური დირექტორი ბაქარ ბაკურაძე:** „ამ ეტაპზე არ ვგეგმავთ ფასის გაზრდას პურზე. მარაგიც გვაქვს, გარდა ამისა, ვცდილობთ მაინცდამაინც არ გავაძვიროთ პროდუქცია, არა მხოლოდ პური, ასევე ნებისმიერი სახის ნაწარმი, რაც საჭიროებს ფქვილს. ვეცდებით, გადავიტანოთ ჩვენს ზურგზე ეს პერიოდი. თუკი შეუძლებელი გახდება, რომ კომპანიამ აანაზღაუროს ეს ხარჯები და გაგრძელდება ფქვილის ფასების მატების ტენდენცია, ამ შემთხვევაში უკვე გადავხედავთ ჩვენს ფინანსურ მდგომარეობას. ჯერჯერობით არ არის ისეთი პროგნოზები, რამაც შეიძლება გვავარაუდებინოს, რომ მოიმატებს პურ-პროდუქტების ფასი“.

ვითარება უფრო რთულია მცირე ზომის ქარხნებსა და საცხობებში.

**მე-4 პურის ქარხნის დირექტორი მალხაზ დოლიძე აცხადებს, რომ ფქვილზე ფასის მომატება შეიძლება „არ შეიმჩნიონ“ მსხვილმა საწარმოებმა, თუმცა შედარებით მცირე ზომის საწარმოებისთვის ეს რთული იქნება:** „ფქვილის ფასმა არა მხოლოდ პორტში შემოსულმა მოიმატა, დღეს მაგალითად მივიღეთ ერთი ტომარა ფქვილი 39 ლარად. რამდენიმე კვირის წინ, იყო 34 ლარი და იმის შემდეგ წამოვიდა ზემოთ და ზემოთ. ჯერჯერობით არ არის პურის ფასი მომატებული არც ჩვენთან, მაგრამ



მხმარებელი იყიდის პურს იქ, სადაც ნაკლები ეღირება. იმედი გვაქვს, რომ მოხდება გადათამაშება და ვიღაც შემოიტანს უფრო დაბალფასიან ფქვილს. სააკაშვილის დროს ჩაკეტილი იყო ბაზარი და ახლა, ამის გაკეთება შედარებით მარტივია. გარდა ამისა, ახლა არის მოსავლის აღების წინა პერიოდი, ამ პერიოდში ფქვილის ყველა რეალიზატორი ცდილობს მოიცილოს მარაგები. ამ დროს ტენდენცია არის ხოლმე ხორბალზე ფასების კლების და არა მატების.

ევარსფეროა და გვიან მოდის მოსავალი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვენ მხარეს არ ურტყამს, გარკვეულ გავლენას მაინც ახდენს. ჩვენს მხარეს რაც შეეხება, აქ ძირითადად პოლიტიკური ფაქტორებია. ჩვენ მიბმული ვართ უკრაინის, რუსეთისა და ყაზახეთის ბაზრებზე, იმიტომ, რომ ტრანსპორტ-ლოჯისტიკა აქედან ხორციელდება, შესაბამისად, პოლიტიკურმა ფაქტორმა, რაც ხდება

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/09 ფასთა ღია გამოკითხვას №9 ენერგობლოკის მილგაყვანილობის არმატურის კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის" შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 21 მაისი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ აცხადებს №INVO-14/07 ფასთა ღია გამოკითხვას №9 ენერგობლოკის დამხმარე მოწყობილობების ასინქრონული ძრავების კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 21 მაისი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“აცხადებს №INVO-14/08 ფასთა ღია გამოკითხვას №9 ენერგობლოკის მბრუნავი მექანიზმების კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალებისა და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკის" კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2ა.

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2014 წლის 21 მაისი 15 საათი.*

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

**„ჩვენი მიზანია არა ვინმეს დამარცხება, არამედ საქართველოს გამარჯვება“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეცხრე გვერდიდან*

რუსეთსა და უკრაინას შორის, ბუნებრივია, ითამაშა და ზეგავლენა მოახდინა ამ ყველაფერზე. წელს მაგალითად, რუსეთიდან შემოგვქონდა ხორბლის მარაგის 70%, 30% კი ყაზახეთიდან. პოლიტიკური ფაქტორები ნიშნავს იმას, რომ რუსეთისა და უკრაინიდან ხორბლის ექსპორტი ხორციელდება შავი ზღვის პორტიდან. შავი ზღვის პორტში კი რა მდგომარეობაა იცით, რუსეთ-უკრაინის საომარი მოვლენების გამო. გარდა ამისა, ტრეიდერები ერიდებიან ახალი კონტრაქტების გაფორმებას.

**— ფასის მატების ტენდენციის გაგრძელება მოსალოდნელია, თუ ეს დროებითია და დასტაბილურდება ხორბლის ფასი?**

– ივლისის დასაწყისიდან რუსეთში უკვე იწყება ახალი მოსავლის აღება, შესაბამისად, იწყება მარკეტინგული წელი. ანალიტიკით რუსეთში მოსავლის პირობები არის საკმაოდ ნორმალური, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითონ პროდუქციაზე კრიზისი არ იქნება და ჩვენ ისევ და ისევ ვართ დამოკიდებული პოლიტიკურ ფაქტორებზე. ვინაიდან რუსეთ-უკრაინას შორის დაძაბული ვითარებაა და გარკვეულ საომარ მოქმედებებსაც აქვს ადგილი, პროგნოზის გაკეთება რთულია, თუ



ლევან სილაგავა

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. თუმცა მაინც სავარაუდოა, რომ ეს ვითარება დასტაბილურდება, როგორც მინიმუმ, ახალი მოსავლის აღებამდე, რადგან უხეშად რომ ვთქვათ, სწორედ ამ პერიოდში ხდება ძნელი მოსავლის გამოყრა. თუკი ტრანსპორტის შემთხვევაში არ იქნება რაიმე შეფერხება, ბუნებრივია, ფასები დასტაბილურდება. ეხლა პოლიტიკური ფაქტორია წინ წამოწეული და ამაზეა დამოკიდებული, როგორ იქნება ვითარება ბაზარზე. რუსეთიც და უკრაინაც ათეულში არიან ხორბლის იმპორტით. შესაბამისად, მათი ინტერესებიც არის, რომ გაიყიდოს მათი წარმოებული პროდუქცია.

**სხვა პროგნოზს აკეთებს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე:**



– ბუნებრივია, რომ, თუკი ფქვილი და ხორბალი გაძვირდა, პურიც ავტომატურად გაძვირდება, მაგრამ რატომ უნდა გაძვირდეს, ეს არის გაუგებარი. თუკი უკრაინიდან და რუსეთიდან იმპორტი შეფერხებულია და მხოლოდ პოლიტიკური მიზეზის გამო ხდება მისი გაძვირება, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ყაზახეთთანაც აქვს ურთიერთობა და ყაზახეთიდან შეიძლება გადათამაშება. ანდა არსებობს მეორე ვარიანტი, მივმართოთ ჩვენს მეგობარ ქვეყნებს და ვუთხრათ, რომ პრობლემა გვაქვს, გვჭირდება პური და ხორბალი და თუნდაც ამერიკიდან და კანადიდან შემოვიტანოთ, რატომ უნდა შეიქმნას საქართველოში ხორბლის პრობლემა და საერთოდ, რატომ არსებობს ყველაფერზე ამ ქვეყანაში პრობლემა?!. როდემდე უნდა გაგრძელდეს საკუთარი ხალხის ძარცვა, ყველაფერი ძვირდება, კარტოფილი 2 ლარი ღირს, რაც არასდროს არ ყოფილა, ახლა პურიც გაძვირდება, საქართველოში კი რასაც მოუმატია ფასი, იმაზე აღარ დაკლებულა. ამ შემთხვევაში, საერთოდ არაფერ შუაში არ არის რუსეთ-უკრაინის კრიზისის ფქვილის ფასის გაძვირებასთან, საქმიან ადამიანებს მომენტალურად შეუძლიათ გადაითამაშონ ეს სიტუაცია, რომ პურის ბაზარზე ეს ცვლილებები არ მოხდეს. მე არ ვიცი ხელოვნურად თუ აკეთებს ვინმე ამას და უნდა საპროტესტო ტალღა გამოიწვიოს ქვეყანაში, თუკი გაუსაძლისი გახდება ცხოვრება, ხალხი ამაზეც წავა.

**— იმპორტიორ კომპანიებთან გადათამაშება რომ მოხდეს, ამას რა ვადები სჭირდება, შესაძლებელია ისე გაკეთდეს, რომ არ აისახოს ფქვილის გაძვირება პურის ფასზე?**

– საქმიან ადამიანებს ამგვარი გადათამაშებისთვის დიდი-დიდი, სჭირდება ერთი თვე, ჯერჯერობით მარაგები არის, რაღაც კონტრაქტებით შემოსვლა არა მგონია, რომ შეჩერდეს, თუკი მოსალოდნელ კრიზისზე ვსაუბრობთ და მოსალოდნელ საომარ მოქმედებებზე უკრაინაში, ბოლოს და ბოლოს ახლა რომ დაიწყონ ფიუჩერსული კონტრაქტებით გადათამაშება, სტანდარტულ შესყიდვებს გააკეთებენ, რა პრობლემაა, ვერ ვხვდები. ხელოვნურად რატომ უნდა ატყუონ და ასულელონ ხალხი. ამას აკეთებენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორები, ახლა ხორბლის იმპორტიორებმა დაიწყეს ეს თაღლითობა და მე მგონი, ასე დაუსრულებლად გაგრძელდება. რუსეთ-უკრაინას შორის ვითარების დალაგებას არ უნდა დაველოდოთ და უნდა ვეძებოთ ალტერნატიული წყაროები, რა თქმა უნდა, თუ ნამდვილად უკრაინის კრიზისია მიზეზი ფქვილზე ფასის გაძვირებისა. ხოლო თუ საერთოდ გლობალურ კრიზისზეა საუბარი, მაშინ ამ შემთხვევაში, სხვა თემებზე გვექნება საფიქრალი და არა, ხორბალსა და ფქვილზე.

**შორენა გოგოლაძე**

599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გიორგი პერტაია: თურქეთიდან საინტერესო შემოთავაზებებია



ბიზნესომბუდსმენის განცხადებით, თურქეთის მხრიდან ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში საინტერესო საინვესტიციო შემოთავაზებებია.

„თბილისში იმართება სამიტი, რომელიც ძალიან მაღალი დონისაა და მასში პრეზიდენტები მონაწილეობენ. ეს ქმნის ძალიან კარგ გარემოს იმისთვის, რომ ბიზნესმენებმა ერთმანეთში ილაპარაკონ და რაღაც კონკრეტულზე შეთანხმდნენ. ეს ღონისძიება არის ძალიან კარგი საშუალება ნებისმიერი ბიზნესმენისთვის, რომ თავისი პროექტი წარუდგინოს მეორე მხარეს. რაც შეეხება თურქეთის მხრიდან ინვესტიციებს, საკმაოდ საინტერესო შემოთავაზებებია, განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში და სოფლის მეურნეობაში. ვფიქრობ, რომ ეს გაიზრდება“, – განაცხადა გიორგი პერტაიამ და დასძინა, რომ ყველაზე მთავარია, რომ სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ თურქ ინვესტორებს იმის შესახებ, თუ რა ხდება ქვეყანაში და რა პრეფერენსიები არსებობს ბიზნესისთვის. (ინტერპრესნიუსი)



## კახი კახიშვილი: საარჩევნო კანდიდატების სია სუს-ის დეპარტამენტიდან წამოვიდა

„საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის“ ცენტრის ხელმძღვანელის, კახა კახიშვილის განცხადებით, სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან, ბიზნესი მკაცრად კონტროლდება, რათა რომელიმე არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიის დაფინანსების სურვილი არ გაუჩნდეთ.

„შსს ასევე აქტიურად მონაწილეობს მაჟორიტარების, მერობის კანდიდატების შერჩევაში. ამოწმებენ კანდიდატთა სანდოობას. ადგილობრივ დონეზე საარჩევნო კანდიდატების სია, სწორედ სუს-ის დეპარტამენტიდან წამოვიდა. კონფიგურაციებს დააკვირდით – პირველ ჯერზე გუბერნატორებად ის კადრები მოგვევლინნენ, რომლებიც სუს-ში ირიცხებოდნენ. დღეს ისინი ადგილებზე არიან მივლენილნი და აქტიურად მუშაობენ. მათ პოლიტიკური პროცესების მართვა დაევალათ, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად“, – აღნიშნა კახიშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მიხეილ სააკაშვილი: არ ჩავძირულვარ, ვტივტივებ



ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანულ გამოცემა „ჰაქქინ.აზ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თავს ისევ დიდი პოლიტიკის ნაწილად თვლის, რადგან საერთაშორისო დონეზე მას მოქმედი სახელმწიფო მმართველები ეკონტაქტებიან.

„მირეკავენ სენატორები, მინისტრები, მოქმედი პრეზიდენტები. არ მაქვს განცდა, რომ არავის ვჭირდები, ან ვიღაცამ გადამაგდო. აქტიურად ვმუშაობ. უკრაინის მოვლენებში ვმონაწილეობ. დღევანდელ დღეს, როცა „ფეისბუკი“ არსებობს, არ არის აუცილებელი, თანამდებობის პირი იყო, რომ პროცესებზე მოახდინო გავლენა. ჩემს პოსტებს „ფეისბუკში“ 600-700 ათასი ადამიანი კითხულობს, ანუ ჩვენ სხვა ეპოქის შვილები ვართ. ამიტომ ბევრი შეცდა, როცა ფიქრობდა, რომ პოლიტიკიდან სამუდამოდ მიშორებდა“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, ცოტა დასვენება უნდოდა, მაგრამ უკრაინის მოვლენებმა დიდ პოლიტიკაში დააბრუნა.

„სამწუხაროდ, ან საბედნიეროდ, უკრაინის მოვლენებმა დიდ პოლიტიკაში დამაბრუნა. არ მინდოდა გამოჩენა, შესვენება მინდოდა, ჩემს თავზე მუშაობა, წიგნის დაწერა, აკადემიური გამოკვლევებით დაკავება მინდოდა; ვგეგმავდი, მეფიქრა წარსულსა და მომავალზე. ნიუ-იორკშიც კი დავბრუნდი, სადაც 90-იანებში ვცხოვრობდი, მარტო ვმგზავრობდი მეტროში, დავდიოდი მაღაზიებში. ყველაფერი ნულიდან დავიწყე. დავიღალე იმით, რომ დაცვა დამყვება, ჩემს ჩანთებს სხვა ატარებს, უამრავი ავტომობილი დამყვება“, – განაცხადა მან. სააკაშვილმა პოლიტიკა და სერფინგი შეადარა ერთმანეთს და განაცხადა, რომ ის ტალღის ქვეშ არ მოქცეულა, მხოლოდ წაიქცა.

„მე ეს კარგად ვიცი, რადგან სერფინგითაც და პოლიტიკითაც ვარ დაკავებული. მთავარი ისაა, რომ წყალქვეშ არ აღმოჩნდე. ჩვენი რეფორმების სწრაფი განვითარება მაფიქრებდა ხოლმე, რომ ადრე თუ გვიან, ტალღა დამფარავდა. კი, ტალღამ წამაქცია, თუმცა არ ჩავძირულვარ. ახლა ვტივტივებ“, – დასძინა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ახლა საქართველოს განვითარება არ ხდება, თუმცა თვლის, რომ ქვეყანა უკუსვლას სწრაფად არ დაიწყებს და არ დაინგრევა, რადგან მისი და მისი გუნდის შექმნილი ძლიერი ინსტიტუტები მას ინერციით აძლიერებს. (რეპორტიორი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

„ამჯერად თქვენი იმედი არ გაცრუვდება, მოქალაქეობრივი ღირსება არ შეილახება. ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით ბოლომდე. და დღეს, აქ, საზეიმოდ, მე გპირდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ თქვენთან ერთად, რათა ყველამ ერთად ავიხდინოთ ჩვენი ოცნება!“

ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

# რა დარღვევები აღმოაჩინა საპატრიარქოს ბავშვთა სახლებში და რას მალავს ჯანდაცვის სამინისტრო?

**რა ხდება საპატრიარქოს ბავშვთა სახლებში? რა დარღვევები ხდება აქ და რატომ შეეპარათ ეჭვი არასამთავრობოებს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებში?**

**„ალიას“ ესაუბრება ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ანა აბაშიძე:**

– 2014 წლის თებერვლის დასაწყისში ჩვენმა ორგანიზაციამ, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, მივმართეთ ჯერ პრემიერ-მინისტრს პეტიციით, მერე კი ჯანდაცვის სამინისტროს და მოვითხოვეთ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა სახლების მონიტორინგის განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან. წლების მანძილზე ასეთი მონიტორინგი არასოდეს განხორციელებულა.

**— ამ სახის სულ რამდენი ბავშვთა სახლია?**

– თავიდან ეგეც პრობლემა იყო, რაოდენობა რომ დაზუსტებული იყო, რადგანაც, როგორც წესი, ამ დაწესებულებებში აბსოლუტურად დახურული სივრცე იყო. ამ დროს ეს დაწესებულებები ათეული წელია არსებობენ. აქ შესვლა სახალხო დამცველსაც კი ეკრძალებოდა. ზედმეტია ლაპარაკი ჯანდაცვის სამინისტროზე და სხვა უწყებებზე და ესაა სერიოზული დარღვევა კანონის. დაწესებულება, სადაც ბავშვი 24 საათის მანძილზეა მოთავსებული, ესაა ალტერნატიული ზრუნვა და უნდა კონტროლდებოდეს სახელმწიფოსგან, მიუხედავად დაწესებულებების სამართლებრივი ფორმისა. კულუარულად ვიცით, რომ სახელმწიფო ერიდებოდა საპატრიარქოს ბავშვთა სახლების შემოწმება-შევიწროებას.

**— რას ნიშნავს შევიწროებას?**

– არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, ჯანდაცვა ვერ შედიოდა ამ დაწესებულებებში, რადგანაც თავიდან საპატრიარქო იყო წინააღმდეგი, ან სახელმწიფო იყო პასიური ამ ქმედებაში, ყოველ შემთხვევაში, მათ გარდა ამის შესახებ არავინ იცის, რადგანაც ერთმანეთში მოლაპარაკების საკითხია. საბედნიეროდ, მოვახერხეთ, რომ დაიწყო ამ დაწესებულებების მონიტორინგი. მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო პირები ხელმძღვანელობენ ამ დაწესებულებებს, მომვლელი პერსონალი ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან. ამ ცოტა ხნის წინ დაიდო ჯანდაცვის მონიტორინგის ანგარიში, რის მიხედვითაც შემოწმებულია ორი დიდი დაწესებულება, ფერიის მთაზე არსებული ბავშვთა სახლი და ნინოწმინდის ბავშვთა სახლი, სადაც თითოეულ მათგანში ცხოვრობს 160-ზე მეტი ბავშვი. ესენი არიან ზრუნვამოკლებული ბავშვები და ასევე ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებიც. მაგრამ მონიტორინგში არ იყო ჩართული ბავშვთა უფლებების გამოცდილი სპეციალისტები, რომლებსაც ბავშვებთან ინტერვიუების აღების გამოცდილება აქვთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი ძალადობის მსხვერპლია. ჩვენ ჯანდაცვას მივმართეთ ოფიციალურად თხოვნით, მაგრამ გვეთქვა უარი. არგუმენტაცია იყო – ამით ბავშვთა უფლებები დაირღვევაო.

**— როცა თემის სპეციალისტები ერთვებიან საკითხში, როგორ შეიძლება, ბავშვთა უფლებები დაირღვეს?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა გეტყვით, რა პრობლემებია ამ მონიტორინგთან დაკავშირებით: ჯერ კიდევ 2011 წელს სახალხო დამცველი წერდა თავის ანგარიშში, რომ ამ სახლებში, სავარაუდოდ, არის ძალადობის ფაქტებიო. მაშინ სახალხო დამცველის აპარატში ჩვენ ვმუშაობდით და ვნახეთ სხვა დაწესებულებების ბავშვები, რომლებიც საპატრი-

გაგრძელება მე-12 გვერდზე



**„მოვიპოვეთ ინფორმაცია ქალბატონისგან, რომლის შვილიც იმყოფებოდა საპატრიარქოს ბავშვთა სახლში. ბავშვი იქიდან რომ წამოვიდა, ქალმა დაიწყო საუბარი იქაურ სიტუაციაზე, რომ იქ იყო ცემის ფაქტები, იქ იყო გაშიშვლება, ბავშვის შიშვლად სიცივეში მეტლახზე ჯდომა, რის ნიადაგზეც ნერვიულობის გამო ბავშვს ფსორიაზი დაემართა და დღემდე ჯანმრთელობის პრობლემები აქვს“**



ანა აბაშიძე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რუსთავი 2“-ში მოსასმენი მოწყობილობების აღმოჩენას პოლიტიკოსები ეხმაურებიან

უშიშროების საბჭოს მდივნის, ირინა იმერლიშვილის განცხადებით, მედია თავისუფალი უნდა იყოს და ამ პრინციპს მთავრობა აუცილებლად დაიცავს.

„ძალიან დიდ იმედს ვიტოვებ, რომ სასწრაფოდ იქნება გამოძიებული და დადგენილი, რა მოწყობილობაზეა ლაპარაკი, ვინ დაამონტაჟა და ვინ დააყენა ეს ყველაფერი „რუსთავი 2“-ში. ჩვენი ქვეყანა, მთავრობა მხარს უჭერს მედიის დამოუკიდებლობას, ეს პრინციპი ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია, რომელსაც აუცილებლად დავიცავთ. ძალიან კარგია, რომ თავად „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ბოდიში მოიხადა ფარულ ჩანაწერებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ამ ქვეყანაში არასოდეს განმეორდება ის, რომ ხელისუფლება ამკვიდრებდა ფარული ჩანაწერების ასეთი დოზით გადაღებას და მერე გავრცელებას“, – განაცხადა იმერლიშვილმა.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, ნიკა გვარამია წლების განმავლობაში თვითონ ამკვიდრებდა მიყურადების კულტურას და კარგია, რომ საჯაროდ ბოდიში მოიხადა.

„ჩვენი მთავრობის მიმართულება არის ურყევი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და ადამიანის უფლებების ერთ-ერთი კომპონენტი, სწორედ გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და ყველა ის კომპონენტი გახლავთ, რომელიც კავშირშია შემდეგ აკრძალვასთან – არ შეიძლება ვინმეს უსმენდე უკანონოდ. ამიტომ, თუ ეს სიმართლეა, მაშინ უნდა დადგინდეს. პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და ავტორები მკაცრად უნდა დაისაჯონ. აქვე მინდა დავსძინო, რომ, როდესაც ბატონი გვარამია თვითონ იყო საქართველოში სხვების მიყურადების, ფარულად კონტროლის კულტურის დამმკვიდრებელი, მაშინ, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებდა, რამდენად დიდი ზიანი ადგებოდა 9 წლის განმავლობაში ჩვენს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს ქვეყანაში. კარგია, რომ მან ამისთვის საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადა“, – განაცხადა წულუკიანმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ვოლსკის განცხადებით, აღნიშნული საკითხი შესასწავლია.

„საკითხი შესასწავლია და ამაზე, ალბათ, გაკეთდება შესაბამისი განცხადება მათგან, ვის მიმართაც „რუსთავი 2“-მა ბრალდება გააჟღერა. სხვათა შორის, არც წარსულში და არც აწმყოში არ მინახავს, რომ „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ რაიმე გაკეთებულიყოს. „რუსთავი 2“-ისგან კი ხშირად მახსოვს ზოგჯერ ისეთი დეზინფორმაცია, რომელიც გაგაოგნებს. ისეთი პოლიტიკური შემოტევაა, ნამდვილად იფიქრებ, რომ ეს ტელეკომპანია არის პოლიტიკური მხარე. რეალურად, „რუსთავი 2“ დაჩაგრული არავის უნახავს და „რუსთავი 2“-ისგან „დაჩაგრული“ და მიწასთან გასწორებული – ბევრს“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, თამარ კორძაია მიიჩნევს, რომ „რუსთავი 2“ მიკერძოებული ტელევიზიაა, თუმცა, მისივე თქმით, ეს აბსოლუტურად არ არის მნიშვნელოვანი, იმ განცხადების ფონზე, რაც მოხდა. „რუსთავი 2“-მა გამოავლინა და ისაუბრა კანონდარღვევის ფაქტზე, ფარულ მიყურადებაზე, რაც არის მტკივნეული თემა დღევანდელი საზოგადოებისთვის და მთავრობისთვის, ფარული მიყურადება არის ის მემკვიდრეობა, რაც გვერგო ამ ხელისუფლებას და რაზეც ჩვენ უნდა მოვახდინოთ ადეკვატური რეაგირება, ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ეს ეხება ფარულ მიყურადებას უნდა იყოს გამოძიებული და კანონდარღვევის სათანადო ზომით უნდა წარდგეს სასამართლოსა და მართლმსაჯულების წინაშე“, – აღნიშნა თამარ კორძაიამ.



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებით, „ფაქტია, რომ სახელმწიფო უწყება თვალთვალით იყო დაკავებული“.

„ნათელია, რომ ეს ფირები ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროში, ამიტომ ამ თვალსაზრისით კითხვები, როგორც ჩანს, არ უნდა არსებობდეს. გამომდინარე ამ საქმის სენსიტიურობიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის იქნას გამოძიებული უსწრაფესად და დაისაჯონ არა მხოლოდ ის პირები, ვინც ფიზიკურად დაამონტაჟა კამერები „რუსთავი 2“-ის ოფისში, არამედ გაირკვეს, ვისგან მოდიოდა ბრძანება და ვინ იყო დამკვეთი, ვინაიდან გამორიცხულია, რომ ეს რიგითი თანამშრომლის დონეზე ვინმეს გაებედა“, – აცხადებს ბაქრაძე.

უმცირესობის წევრის, ირმა ნადირაშვილის ინფორმაციით, მოსასმენი აპარატურა პარლამენტში და უშუალოდ დავით უსუფაშვილის ოთახშიც არის დამონტაჟებული.

„ჩვენ გვაქვს გარკვეული ინფორმაცია, რომ მარტო ტელეკომპანიებში კი არა, მოსასმენი აპარატურა დამონტაჟდა პარლამენტშიც და უშუალოდ, დავით უსუფაშვილის ოთახში. ამიტომ, მე მოვუწოდებ პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ არასერიოზული კი არ დაარქვან, არამედ თავისი თავიც დაიცვან და დააჩქარონ გამოძიება“, – განაცხადა ნადირაშვილმა.

„ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერს, ნინო ბურჯანაძეს, მომხდარი „არ გაჰკვირვებია“.

„აბსოლუტურად არაფერი გამკვირვებია, ერთადერთი პოზიტიური შემიძლია ვთქვა ის, რომ კარგია, რომ ერთადერთმა ადამიანმა წინა ხელისუფლებიდან, ნიკა გვარამიამ ბოდიში მოიხადა. რაც შეეხება იმას, რომ დღევანდელი ხელისუფლება იქცევა ისევე, როგორც იქცეოდა „ნაციონალური მოძრაობა“, ეს ხომ გასაკვირი არც არის. მათ ხომ ყველა ის ადამიანი შეინარჩუნეს პოლიციაში, პროკურატურაში, სასამართლოში, ვინც ამ უკანონო ბრძანებების სულისჩამდგმელი და შემსრულებელი იყო. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან გაგვიცრუა იმედები. იმედია, რომ ამ გზით არ გააგრძელებენ სვლას“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის, მანანა ნაჭყებიას თქმით, აღნიშნული ფაქტები აზარალებს არა მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების, არამედ ქვეყნის იმიჯს.

„რუსთავი 2“-ის მსგავსი შემთხვევები, სამწუხაროდ, ბევრი დაუგროვდა ხელისუფლებას. თუ მან არ დადო დადასტურებული ფაქტები, ეს ეჭვი მუდმივად იარსებებს. ეს აზარალებს არა მარტო ხელისუფლებას, არამედ – ქვეყანას. ასევე, აზარალებს დემოკრატიის განვითარებას ქვეყანაში“, – განაცხადა ნაჭყებიამ. (ინტერპრესნიუსი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„მასმედიის დიდი ნაწილი ხელისუფლების მორჩილებასა და საზოგადოების დეზინფორმაციაზეა ორიენტირებული. სამოქალაქო საზოგადოებას უკიდურესად შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია".**

**ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი**

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეთერთმეტე გვერდიდან*

არქოს ბავშვთა სახლებიდან იყვნენ გადმოსულები და ისინი იხსენებდნენ იქ არსებულ სიტუაციას. სახალხო დამცველის ანგარიშში კონკრეტული ფაქტებია მოყვანილი, როგორ ყვებიან ბავშვები, რა ტიპის ძალადობას ჰქონდა ადგილი, ინიციალებიც გვაქვს მინიშნებული მოძალადეების, რომელიც დაშიფრულია, მაგრამ ზუსტად ვიცით, ამ ადამიანების სახელი და გვარები. თავის მხრივ, ჯანდაცვის სამინისტრო რომ დაინტერესებულიყო, მარტივად მიიღებდა ინფორმაციას ამ კონკრეტულ პირებზე. ამ ბავშვების თქმით, იყო ცემის ფაქტები, დაჩოქება, სკამის ფეხით ცემა და სხვა უამრავი. სახალხო დამცველმა მისცა რეკომენდაცია ჯანდაცვას, შეემოწმებინა ფაქტები და შესაბამისი რეაგირება მოეხდინა. სამწუხაროდ, სამინისტრომ ამაზე რეაგირება აქამდე არ გააკეთა. მაგრამ უცნაური ისაა, ახლაც რომ შევიდნენ ამ საბავშვო სახლებში, არც კი მოიძიეს ეს ფაქტები და არც დაინტერესდნენ, რაზე საუბრობდა სახალხო დამცველი. ჯანდაცვა ამბობს, რომ ამჟამად ცალსახად არ არსებობს ძალადობის პრობლემა, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტრო იქვე იმასაც ამბობს, რომ პერსონალს არ გააჩნია ინფორმაცია, რა არის ბავშვის მიმართ ძალადობა და რა მექანიზმი არსებობს ძალადობისგან დაცვის. უნდა ითქვას, რომ მთლიანობაში ეს დასკვნა არაკომპეტენტურია. საგულისხმოა, რომ ინვალიდთა უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია სამი წლის მანძილზე აკვირდებოდა ბავშვთა სახლებში არსებულ სიტუაციას, ინფორმაცია ჰქონდა საპატრიარქოს ბავშვთა სახლზე და წერდა, რომ ამ დაწესებულებებში არსებობს რეალური საშიშროება ბავშვებთან დაკავშირებით.

**— კონკრეტულად რას გულისხმობდა?**

– მაგალითად, ის, რომ დაწესებულებებში არ ხდება ბავშვების აღრიცხვა, რაც ქმნის ტრეფიკინგის სერიოზულ რისკს. ანუ, ბავშვის ჩარიცხვა არ ხდება კომპეტენტური ორგანოს მიერ და ასევე არ ვიცით, დაწესებულებიდან რამდენი ბავშვი გადის და სად გადის. ამ შემთხვევაში, რეალურად ჩნდება საფრთხე იმისა, რომ ბავშვთა ვაჭრობის თემა წამოვიდეს წინა პლანზე, რადგანაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს, სად რამდენი ბავშვი იმყოფება. ამ დროს ჩვენ დაინტერესებული ვართ, კომპეტენციაც გვაქვს და სურვილიც და ვთხოვეთ ჯანდაცვას, რომ მათთან ერთად შევიდოდით დაწესებულებებში, დეტალურად შევამოწმებდით ყველაფერს და უარი გვითხრეს, ანუ ჩვენთვის დახურულია კარი, მაგრამ თვითონ ხომ შევიდნენ? ჯანდაცვის სამინისტრო წერს ანგარიშში, რომ საპატრიარქოს სახლში ხდება ბავშვების ნაწილობრივი აღრიცხვა.

ჩვენი აზრით, სანამ ლიცენზირების საკითხი გადაწყდებოდეს, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ ბავშვები უნდა იყოს გადაყვანილი ლიცენზირებულ მცირე ზომის ბავშვთა სახლებში. ჯანდაცვის მონიტორინგის მიხედვით კი უმნიშვნელო დარღვევებია დაფიქსირებული: რომ არ არის დალაგებული დოკუმენტები სტრუქტურულად, რომ ვილაცას არ აქვს დაბადების მოწმობა, ანუ, ჯანდაცვის სამინისტრო მუდმივად აუბრალოებს ამ საკითხებს და წარმოაჩენს, რომ აქ უმსუბუქესი დარღვევებია. სინამდვილეში შიგნით ნამყოფი არავინაა და ეჭვი გვაქვს, რომ რახან სახალხო დამცველი ძალადობაზე საუბრობდა, ჯანდაცვას იქაური „ქეისები" ღრმად უნდა გამოეკვლია და ასევე უნდა გამოეკვლიათ, ახლა რა ხდება ძალადობის თვალსაზრისით. ამაზე კი აქცენტი არ აქვს ჯანდაცვას, ის ცალსახად ამბობს, რომ ყველაფერი შესანიშნავადაა.

**— თქვენ იქაური სიტუაციის რეალობა ბავშვებისგან იცით?**

– გარდა ბავშვებისა, სხვა ინფორმაციაც გვაქვს: პირველ მაისს მოვიპოვეთ ინფორმაცია ქალბატონისგან, რომლის შვილიც იმყოფებოდა საპატრიარქოს ბავშვთა სახლში. ბავშვი იქიდან რომ წამოვიდა, ქალმა დაიწყო საუბარი იქაურ სიტუაციაზე, რომ იქ იყო ცემის ფაქტები, იქ იყო გაშიშვლება, ბავშვის შიშვლად სიცივეში მეტლახზე ჯდომა, რის ნიადაგზეც ნერვიულობის გამო ბავშვს ფსორიაზი დაემართა და დღემდე ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ამ დროს ჯანდაცვის მონიტორინგი წერს, რომ დაწესებულებები მაქსიმალურად უზრუნველყოფენ აღსაზრდელების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისგან.

**— იქ სასულიერო პირები არიან და ასეთი სასტიკი მოპყრობა როგორ ხდება?**

– რახან სასულიერო პირი მართავს დაწესებულებას, რატომ გგონიათ, რომ არასასულიერო პირი არ ჩაიდენს დანაშაულს? ბავშვები ამბობენ, რომ მღვდლები ეკითხებოდნენ, ვინმე ხომ არ ჩაგრავდა მათ, მაგრამ ბავშვები იმასაც ამბობენ, რომ გვეცოდებოდნენ იქაური აღმზრდელები და არ ვასახელებდითო. ეს შეცოდებაც ცალსახად არ უნდა გავიგოთ: ვინც მუშაობს ძალადობის თემაზე, მან იცის, რატომ აფარებს ბავშვი მოძალადეს ხელს. ბავშვი ხანდახან სიყვარულსაც გამოხატავს მოძალადის მიმართ, ეს ტექნიკის თემაა და ასეთ ბავშვს უნდა გაესაუბროს სპეციალისტი. აქ კიდევ ერთი მომენტია: ჯანდაცვის დაქვემდებარებაში არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაწესებულებები, სადაც ცხოვრობენ მსგავსი პრობლემის ადამიანები, მათ იქ გააჩინეს ბავშვები, ჯანდაცვამ დაავლო ხელი ამ ბავშვებს და წაიყვანა პირდაპირ ამ სახლებში, მოტივაციაა: იქ არ არის შესაფერისი პირობებიო და პრინციპში, უკანონოდ ხდება ბავშვების გაყვანა.

**— საკმაოდ მწარედ ურტყამთ ჯანდაცვის სამინისტროს.**

– ჩვენ ამაზე წლებია ვლაპარაკობთ. მაგრამ, საბედნიეროდ, ახლა დაიწყო ამ კარების გახსნა, რაც აქამდე დაკეტილი იყო. თუმცა, აქამდე არღვევდნენ კანონს. ჩვენ მოვუწოდებთ ახალ სახალხო დამცველს, რომ მან დაუყოვნებლივ ჩაატაროს მონიტორინგი ამ დაწესებულებებში და დადოს ახალი შედეგი. ის ვალდებულია, ეს გააკეთოს. ჯანდაცვის მიმართ ჩვენ გვაქვს უნდობლობა, რადგანაც ის თავის თავს ამოწმებს, ოთხი წელია ეს დასკვნა იდო და არ ამოწმებდა, ეს რას ნიშნავდა? ამის გადადება არ შეიძლება და უჩა ნანუაშვილი დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს საპატრიარქოს ბავშვთა სახლებში და სისტემურად შეამოწმოს იქაური სიტუაცია.



**„ჯანდაცვის სამინისტრო რომ დაინტერესებულიყო, მარტივად მიიღებდა ინფორმაციას ამ კონკრეტულ პირებზე. ამ ბავშვების თქმით, იყო ცემის ფაქტები, დაჩოქება, სკამის ფეხით ცემა და სხვა უამრავი"**



**„საბედნიეროდ, ახლა დაიწყო ამ კარების გახსნა, რაც აქამდე დაკეტილი იყო. თუმცა, აქამდე არღვევდნენ კანონს. ჩვენ მოვუწოდებთ ახალ სახალხო დამცველს, რომ მან დაუყოვნებლივ ჩაატაროს მონიტორინგი ამ დაწესებულებებში და დადოს ახალი შედეგი. ის ვალდებულია, ეს გააკეთოს... ამის გადადება არ შეიძლება და უჩა ნანუაშვილი დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს საპატრიარქოს ბავშვთა სახლებში და სისტემურად შეამოწმოს იქაური სიტუაცია"**

**კომენტარისთვის შუა დღიდან ვცდილობთ, დავუკავშირდეთ ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს გია კაკაჩიას, რომელმაც ჯერ დიდი ხნის მანძილზე არ გვიპასუხა, მიუხედავად ჩვენი „მესიჯებისა", ბოლოს, როცა ძლივს აიღო ყურმილი, გაღიზიანებულმა ასეთი პასუხი გაგვცა: „მაგ პრეტენზიებზე 15 წუთი უნდა გელაპარაკოთ და მე მოვრჩი სამუშაო დღეს და ღამის რვა საათზე არ ვიძლევი მე ინტერვიუებს!"**

**დალოცვილიშვილო, დროზე გეპასუხა, მერე. მე რა, მეხალისებოდა საღამოს 8 საათამდე თქვენი ლოდინი?**

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## პრეზიდენტმა მოსახლეობას გიორგობა მიულოცა



მოსალოცი წერილი გიორგი მარგველაშვილის „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.

„ძვირფასო თანამემამულენო, სულითა და გულით გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ჩვენს სახელმწიფო გერბზე გამოსახული, საქართველოს მფარველი წმინდანი გამარჯვების, სიკეთის მიერ ბოროტების ძლევის სიმბოლოს წარმოადგენს. ვუსურვებ სრულიად საქართველოს გამარჯვების გზით სიარულს და ამ გზაზე წმინდა გიორგის შემწეობას", – ნათქვამია მისალოც განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ქართულ ტელესივრცეს ახალი ტელეკომპანია შეემატება




„ახალი საქართველო" მთელი ქვეყნის მასშტაბით იმაუწყებლებს.

არხის ფორმატი მრავალფეროვანია. ის ძირითადად სტუდენტებითაა დაკომპლექტებული, რომლებსაც 1 თვის განმავლობაში არჩევდნენ, თუმცა გამოცდილი ჟურნალისტებიც საქმიანობენ. არხის გახსნის კონკრეტული თარიღი ჯერჯერობით უცნობია, მისი წარმომადგენლები, კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებენ.

აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრში ახალი სუბიექტი „ახალი მედია საქართველო" 2014 წლის 22 იანვარსაა დარეგისტრირებული. განმცხადებელი კი ვინმე ნინო კოპალიანია. (აქცენტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## კახი კალაძეს პატრიარქის განცხადებაზე კომენტირება უჭირს



ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ანტიდისკრიმინაციულ კანონზე პატრიარქის განცხადებას ეხმაურება. მისი თქმით, პარლამენტმა მოახერხა, რომ აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით ნაკლები წინააღმდეგობა ყოფილიყო. „პატრიარქი ჩვენთვის ყველასთვის მნიშვნელოვანი ადამიანია, ამიტომ რთულია, გავაკეთო რაიმე კონკრეტული განცხადება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტმა მიიღო, მუშაობა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ყველაფერი ისე გაკეთდა და ისე მოახერხა პარლამენტმა, რომ, რაც შეიძლება ნაკლები წინააღმდეგობა ყოფილიყო და მასთან დაცული ყოფილიყო ყველას უფლება", – განაცხადა კალაძემ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, ასეთ კანონს არც ერთი მორწმუნე არ მიიღებდა. (ნიუპოსტი)

# ლელა იაკობაშვილი: „ჰომოსექსუალობის ლეგიტიმაციას ტრადიციული კულტურა ასე თავისუფლად ვერ იღებს“



**ინტერვიუ კულტუროლოგ ლელა იაკობიშვილთან:**

**— ქალბატონო ლელა, თქვენზე რა შთაბეჭდილება დატოვა ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით საზოგადოებაში გამართულმა ხმაურიანმა და ემოციურმა განხილვებმა?**

– ჩვენ დღეს მსოფლმხედველობრივი ძვრების დრო გვიდგას. არც ისე მარტივია, ორნახევარი ათწლეულის უახლესი ისტორიის მქონე ქვეყანამ მყარ ღირებულებებთან თანხმობაში მოაქციო და დაწმინდო სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა და მით უფრო, მას სახელმწიფო კანონმდებლობის სახე მისცე... შფოთის საფუძველი, რაღა თქმა უნდა, გვაქვს. ჩვენთვის ჯერ კიდევ არ არის ცხადი, როგორ უნდა მოახერხოს თანაარსებობა რელიგიური სიღრმის მქონე ღირებულებებმა და სეკულარული სახელმწიფოს კანონმდებლობამ ისე, რომ კი არ ანგრევდეს ერთმანეთს, არამედ ავსებდეს. როგორ შეიძლება სახელმწიფოს შემოქმედებითად შენების ნება ჩვენს პიროვნულ თავისუფლებასა და რელიგიურობას (მიუხედავად აღმსარებლობისა) დავუქვემდებაროთ.

როგორ უნდა განაპირობებდეს პიროვნული თავისუფლება, რომელიც, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანის რელიგიური (და ისევ გავიმეორებ, და არა აღმსარებლობის) სიღრმის მუხტს ატარებს, სოციალურ თავისუფლებას, რომლის გარანტი სახელმწიფო და მისი კანონმდებლობა უნდა იყოს. როგორ დავაცხროთ უკიდურესი ვნებები, როდესაც საქმე ჩვენ, ჩვენს სასიცოცხლო სივრცესა და ჩვენივე ქვეყნის მომავალს ეხება. აშკარაა, რომ „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ მიმართ აჟიოტაჟი გამოიწვია ერთადერთი თემის მიმართ ჩვენი კულტურის მგრძნობელობამ – ეს გახლავთ სექსუალური უმცირესობების თემა. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამ თემაზე აპელირებით ცდილობდნენ უკეთური ნების ძალები საზოგადოებრივი ვნებების გაღვიძებას... როგორც ჩანს, ჩვენი ეკლესიისთვისაც მგრძნობიარე აღმოჩნდა თემა, რომელსაც, როგორც მეჩვენება, ჰყავს ვნებების მძაფრად გამღვიძებელნი. ეკლესია ჰომოსექსუალებს ცოდვილებად მიიჩნევს და იმ ტიპის ინსტიტუციაში, როგორიც ეკლესიაა, ეს სრულიად გასაგებია.

სეკულარული სახელმწიფოსა და მისი კანონმდებლობის საქმეა, გაარჩიოს ცოდვა კრიმინალისგან და კანონმდებლობა ააგოს ისე, რომ ადამიანი აგრესიისგან დაცული იყოს და თვით კრიმინალიც კი (არა თუ ცოდვილი), ლინჩის წესით არ გასამართლდეს, არამედ კანონით და სახელმწიფო სამართლით. არის თუ არა ჰომოსექსუალი ცოდვილი, ამას ვერც ერთი სახელმწიფო კანონი ვერ განსაზღვრავს. სახელმწიფოს ვალია, დაიცვას ყოველი თავისუფალი ზნეობრივი არჩევანის მქონე მოქალაქე იმ ადამიანთა აგრესიისგან, ვინც არ იღებს მათ თავისუფალ არჩევანს. ზოგადად კი, ვფიქრობ, რომ უმცირესობების თემა საქართველოში ნაკლებად დგას. სხვა ტიპის კულტურა ვართ. სექსუალური უმცირესობები ან სხვა ტიპის უმცირესობებიც იმდენად არიან დაუცველნი, რამდენადაც ნებისმიერი მოქალაქე. რა თქმა უნდა, ამ თემებთან დაკავშირებითაც შიგადაშიგ არსებობს ექსტრემალური სიტუაციებიც, მაგრამ ამას სისტემური ხასიათი ჩვენს კულტურაში ნამდვილად არც ჰქონია და არც აქვს, თუ ვილაცის უკეთურ ნებას არ დასჭირდება ეს. შარშანდელმა 17 მაისის მოვლენებმა და „ანტიდისკრიმინაციულ კანონზე“ ეკლესიის „მონიტორინგმა“, რა თქმა უნდა, არ შეუწყო ხელი საქართველოში ზოგადად არსებული აგრესიული ფონის განელებას.

რაც შეეხება დასავლურ ღირებულებებზე არსებულ პროპაგანდისტულ კლიშეებს, ეს გახლავთ სწორედ ის მტკივნეული თემა, რომელმაც შესაძლოა, ღირებულებითი დეზორიენტაცია მოახდინოს ისედაც მსოფლმხედველობრივი დეფიციტის პირობებში. დასავლური ღირებულებების იდენტიფიცირება ჰომოსექსუალობის თემასთან, რბილად რომ ვთქვათ, იმ ძალების პროპაგანდისტული ხრიკია, რომელმაც კარგად იცის, რომ ჩვენი კულტურა ტრადიციულ კულტურათა რიცხვს მიეკუთვნება და ეკლესია ამ კულტურის დამცველად მიიჩნევს თავს.

მე თუ აგრესიას არ ვიჩენ და მხოლოდ დამოკიდებულება და საკუთარი შეფასება მაქვს, ვფიქრობ, არაფერს ვაშავებ. ვინც მოითხოვს, რომ ასე არ ვიფიქრო, ისიც მოძალადეა. სრული უფლება მაქვს, რომ საკუთარი შეფასება და დამოკიდებულება მქონდეს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, მით უფრო, თუ ტრადიციულ კულტურაში გავიზარდე. ეს ჰომოფობია არ არის. ჰომოფობია ნიშნავს გარკვეული იდენტობის მქონე ადამიანების მიმართ შიშს. უხერხულია, მეტი რომ არ ვთქვათ, ჰომოფობია დასწამო იმას, ვინც არანაირ აგრესიას არ იჩენს ასეთი სუბკულტურის მიმართ, მაგრამ აქვს საკუთარი შეფასებითი დამოკიდებულება. თითოეულმა იმ ადამიანმა, რომელიც „ჰომოფობის“ კლიშეს ქვეშ აქცევს ადამიანს, აბა თავის გულში ჩაიხედოს, არასოდეს ჰქონია შეფასებითი დამოკიდებულება სხვისი ქცევის მიმართ?

აქვე უნდა ვთქვა, რომ ჰომოსექსუალობის ლეგიტიმაციას ტრადიციული კულტურა ასე თავისუფლად ვერ იღებს. ერთია – კონკრეტული ადამიანი იღებს თუ არა, ეს მისი კონკრეტული არჩევანია, მაგრამ კულტურასაც აქვს არჩევანი, ისიც სუბიექტია. მას თავისი მაქსიმები, თავისი იმპერატივები აქვს და ეს იმპერატივები განაგებენ კულტურასა და იმ განწყობას, რომელსაც იმ კულტურაში მცხოვრები ადამიანები ატარებენ. ამიტომ ძნელია, ადამიანს აუკრძალო, ასე რატომ ფიქრობს.

ტრადიციული კულტურის ადამიანს იმის უფლებაც აქვს, თავისი დამოკიდებულება ჰქონდეს და იმის უფლებაც, თავისი დამოკიდებულება ხმამაღლა გამოთქვას. მთავარია, ჰომოსექსუალობის დეკლარირებული მხარდაჭერა ახალ კონიუნქტურად არ იქცეს. შთაბეჭდილება იქმნება, რომ სტატისტიკური მოქალაქე ახლა ახალი კონიუნქტურის ჩარჩოებში უნდა ჩაჯდეს აუცილებლად; თუ ვერ ჯდება, ჰომოფობად ინათლება. ესეც ძალადობაა და ამ ძალადობას ფსიქოლოგიური ძალადობა ჰქვია. ამიტომაც, ჯერ უნდა განიმარტოს, რა არის ჰომოფობია, დეფინიცია მოხდეს ცნების, ამ დეფინიციის მიმართ ადამიანის საქციელი შეფასდეს და შემდეგ გაკეთდეს დასკვნები.

ის, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი მოითხოვს, რომ არ მოხდეს ჰომოსექსუალიზმის ტირაჟირება და რეკლამირება, ნიშნავს იმას, რომ ტრადიციული კულტურის იმპერატივები მუშაობს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს კულტურაა აგრესიული. წარმოიდგინეთ, რომ XIX საუკუნეში თბილისში კინტოებს ხშირად ჰომოსექსუალობა მიეწერებოდათ და ასეთი რამ სრულიად ღიად ხდებოდა. ამას საზოგადოება იღებს, როგორც კულტურის სხეულში არაორგანულ ჩანართს, რომელთანაც სულაც არ აქვს აგრესიული დამოკიდებულება, აქვს შეფასება. შეფასება კი მისი ნებაა. როგორც ჩანს, ჩვენს კულტურას აქვს თავისი მყარი მაქსიმები – მყარი ღირებულებითი ღერძი. ეს, შესაძლოა, შეიცვალოს 5 წლის ან 20 წლის შემდეგ, ან საერთოდ არ შეიცვალოს, მაგრამ ახლა ის ასეთია და ამ ენაზე მეტყველებს. ამიტომ მე არ მივიჩნევ, რომ ღირებულებითი შეფასება ქრისტიანული მორალის დეფიციტის ბრალია.

საშიში სწორედ იქ იწყება, სადაც შეფასება მკვეთრად კატეგორიულია და ის აგრესიული ქცევის საფუძველი ხდება, როდესაც ცოდვის აღწერას სამართლებრივი კატეგორიებით მოვითხოვთ მით უფრო ქრისტიანობისა და ეკლესიის სახელით.

(კობა ბენდელიანი, „ინტერპრესნიუსი“)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქუჩებში დამონტაჟებულ სათამაშო აპარატებზე კონტროლის დაწესებას ითხოვენ



არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი, კანონი, თავისუფლების“ განცხადებით, თბილისის ქუჩებში დამონტაჟებული სათამაშო აპარატებით, რომლებზეც კონტროლი არ ხორციელდება, არასრულწლოვნებს შეუძლიათ დაეუფლონ თამბაქოს, რომელზეც შეზღუდვა არასრულწლოვანთათვის კანონითაა რეგულირებული.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, აღნიშნულ აპარატებში გასათამაშებლად თამბაქოს გარდა სხვა ნივთებიც არის წარმოდგენილი – მობილური ტელეფონები, საათები, ყურსასმენები და სხვა მცირედი ტექნიკა.

„როგორც ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა დაკვირვების შედეგმა ცხადყო, აღნიშნული სათამაშო აპარატებით ხშირად სარგებლობენ არასრულწლოვნები, რაც ზიანს აყენებს როგორც მათ ფსიქიკურ და ზნეობრივ განვითარებას, აგრეთვე, ჯანმრთელობის მდგომარეობას, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სათამაშო აპარატებით, რომლებზეც არ ხორციელდება კონტროლი, არასრულწლოვნებს საშუალება ეძლევათ, დაეუფლონ თამბაქოს, რომელზეც შეზღუდვა არასრულწლოვანთათვის კანონითაა რეგულირებული. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ აზარტული და მომგებიანი თამაშობების აპარატთა მფლობელები არღვევენ საქართველოს კანონმდებლობას“. – ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ორგანიზაციამ წერილით მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად. ორგანიზაცია მოითხოვს, კონტროლი როგორც ე.წ. აზარტული და მომგებიანი თამაშების აპარატებზე, ასევე შესაბამისი ნებართვის გამცემ უწყებაზე დაწესდეს. (ნიუს.ჯე)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 78 წლის მამაკაცმა 9 წლის გოგონას გაუპატიურება სცადა




ჩხოროწყუში ადგილობრივები 78 წლის მამაკაცს 9 წლის გოგონას გაუპატიურების მცდელობაში ადანაშაულებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიონში დაპირისპირება მოხდა და ადგილობრივებს რამდენიმე საათის განმავლობაში საავტომობილო გზაც ჰქონდათ გადაკეტილი.

მცირეწლოვანის გაუპატიურების მცდელობაში ეჭვმიტანილის ოჯახში დღეს დაზარალებული გოგონას ოჯახის წევრები და ახლობლები მივიდნენ და ოჯახის გასახლება მოითხოვეს.

„გავიგეთ, რომ გაუშვიათ ციხიდან. უკვე 78 წლისაა და მაგის დაკავება არ შეიძლებაო. მერე თქვეს, დაკავებულიაო, ზუსტად არ ვიცით. ვითხოვთ კანონის მთელი სიმკაცრის გამოყენებას და ოჯახის გასახლებას“, – განაცხადა დაზარალებულის ბაბუამ, რომლის ვინაობასაც, გასაგები მიზეზების გამო, არ ვასახელებთ.

მათივე ინფორმაციით, შემთხვევა ჩხოროწყუში, ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში 4 მაისს მოხდა. ასაკოვანი მამაკაცი გოგონას გაუპატიურებას აპირებდა, თუმცა ფაქტს მეზობელი შეესწრო და გოგონა გადაარჩინა.

ინციდენტის ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები, რომელთაც უსაფრთხოების მიზნით დამნაშავის ოჯახის წევრები სახლიდან გაიყვანეს.

ჩხოროწყუს პოლიციის უფროსის ჯუმბერ იზორიას განმარტებით, დამნაშავე დაკავებულია, ხოლო სისხლის სამართლის საქმე გაუპატიურების მცდელობის მუხლითაა აღძრული.

(ფრონტნიუსი)

# სკანვორდი

ავტორი ლალი ზანდუკელი 2 23-11-28



1. ესკიმოსთა ქურთუკი კაპიუშონით
2. ქარიბდას მეწყვილე ურჩხული
3. ქალაქის ან სოფლის ნაწილი
4. მთა თბილისთან
5. ფილოსოფიური მიმდინარეობა მეცნიერების შესახებ
6. თაგვის „ბინა“
7. უმაღლესი დიპლომატიური რანგი
8. თურქეთის გვარდიის ჯარისკაცი
9. საქონლის გაცვლა-გამოცვლა
10. „შევროლეს“ მოდელი
11. ტოგის ქვეშ ჩასაცმელი პერანგი ძვ.რომში
12. მუსიკალ. გამის II ნოტი
13. „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი
14. ფორტეპიანოს და ბაიანის „ჰიბრიდი“
15. ინდური ხალხური სიმებიანი საკრავი
16. მე-14 საუკუნის იტალიური კულტურა
17. იაპონელი მწერალი
18. ტროპიკული ვაშლი
19. მდინარე დასავლეთ ევროპაში
20. თანაბარი ანგარიში სპორტში
21. ნახევრად ძვირფასი ქვა
22. ნადირთ-მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგ.
23. ხაჭაპურის სახეობა
24. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი
25. მდინარე შუა აზიაში
26. სწორად აზროვნი უტოპთო ხე
27. მწერალი ... მორჩილაძე
28. ფეხბურთის ნობათი
29. პეპი გრძელიწინდას მეგობარი გოგონა
30. ავსტრიის დედაქალაქი
31. თავის ცალმხრივი ტკივილი
32. ვირის ნაშიერი, იგივე ჩოჩორი
33. ერთეულოვანი ვექტორი
34. ქვის წვრილი ნამსხვრევები
35. „მილანის“ თავდამსხმელი
36. ისტორ. კუთხე სამხრეთ საქართველ.
37. მონღოლეთის ფულის ერთეული
38. „შოკოლადის მიმტანი ქალის“ მხატვარი
39. დეკორატიული ბალახოვანი მცენარე
40. შხამიანი გომბეშო
41. არაბთა გაერთიანებ. საამიროების ვალუტა
42. ხილის ან ბოსტნეულის წვენი
43. შიგაძვის ძრავის ასამოძმედებელი მოწყობილობა
44. დაჭრილი ბოსტნეულის კერძი
45. გამოჩენილი ბულგარელი ფეხბურთელი
46. მუს. პიესის რომელიმე ნაწილის გამეორება
47. ფილოსოფოს ბრუნოს სახელი
48. მეფის ვაზირი „სიბრძნე სიცრუისა“-ში
49. საკონდიტრო ნაწარმი
50. საფრანგეთის უგრძესი მდინარე
51. ჩინური მაფია
52. ქალაქი საფრანგეთში
53. ჭაობის მცენარე
54. თვითმკვლელობის წესი იაპონიაში
55. უდაბნო ჩილეში
56. თენგიზ არჩვაძე „ხევსურულ ბალადაში“
57. ტბა ალასკაზე
58. ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი
59. ქალაქი ირანში
60. აკრობატული ნახტომი „სალტო ...“
61. პოეტის შთაგონების წყარო
62. შინაური ცხოველი
63. ზღვრული ნორმა
64. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა
65. ზრდილობიანი დასტურის სიტყვა
66. მობილური ტელეფონის მარკა
67. მცენარის მიწისქვეშა ნაწილი
68. გამოჩენილი სერბი ფიზიკოსი
69. ბულგარული არაყი
70. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
71. სპორტის სახეობა
72. კაშალოტის თავიდან მიღებული ცვილი
73. ქიმიური რეაქციის მოსახდენი აპარატი
74. მფრინავი დინოზავრი
75. მოსამართლე „კავკასიურ ცარცის წრეში“
76. დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
77. მამათა დიდი მონასტერი
78. ელექტროდენის ძალის საზომი ხელსაწყო
79. საფქვილე ყუთი წისქვილში
80. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
81. ღვთაებ. მხსნელი
82. კუბური კოქტეილი
83. ჩინეთის ადმინისტრ. რაიონი
84. ხიდზე გაყვანილი გზა
85. იგივეა, რაც მევახშე
86. განელი ფეხბურთელი კვადვო ...
87. ფრანგი მომღერალი ... სეგარა
88. ჯამბაზი ... ჰოპი „სალამურას თავგადასავ.“
89. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
90. დონ კიხოტის სატრფო
91. აქლემისებრთა ოჯახის ცხოველი კუზის გარეშე
92. სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი
93. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება
94. სამხალე ბალახი
95. სპორტული გაერთიანება
96. სატელეფონო „სიტყვა“
97. იგივეა, რაც პლანეტა
98. ფრანგი მსახიობი ... მონტანი
99. მონღოლეთის ადმინისტრ. ტერიტორ. ერთეული
100. ... ფიცჯერალდი
101. ივდითის სატრფო ... აკოსტა
102. ტკბილი კარტოფილი
103. სურნელოვანი მწვანილი
104. ფეხბურთის სახლი
105. ქალაქი ფლორიდის შტატში
106. მსახიობი ... თურმანი
107. პირად ინტერესებზე ზრუნვა
108. გრძელ მანძილზე მორბენალი სპორტსმენი
109. უუფლებო ადამიანი
110. ოქროს ურდოს სარდალი
111. რაიმესთან ახლოს მდგომი, მისწარი
112. კუნძულოვანი ქვეყანა ევროპაში
113. ჭორების გამავრცელებელი
114. მოლეკულის შემადგენელი ნაწილი
115. შვიდის მომდევნო რიცხვი
116. ქართული სამარკო კონიაკი
117. გამრავლების შედეგად მიღებული რიცხვი
118. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
119. იტალ. კომპოზიტ.
120. ამერ. მსახიობი
121. იგივე მატლი
122. მისისიპ. შენაკადი
123. წიწვოვანი მცენარის წვენი
124. ფლობერის ისტორიული რომანი
125. იტალიური „პელმენი“
126. პიპინია ერისთავის ვაჟი
127. საგანთა ერთობლიობა, შეხამება
128. იტალიის კუნძული
129. ნავთობის გადასაზიდი გემი
130. ძალლონე, არაქათი
131. ყველაზე წვრილი სასტამბო შრიფტი
132. იგივეა, რაც ჯიქანი
133. ინდური კობრა
134. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი
135. საჭურისი „სიბრძნე სიცრუისა“-ში
136. ბარსელონას საოპერო თეატრი
137. „იქ“ - ძველ ქართულში
138. ინდონეზიის კუნძული
139. ე. წ. ჩინური ჭინჭარი
140. სამხ. ჩინეთში მცხოვრები ხალხი
141. „სტრიპტიზიორი“ „დათა თუთაშხიაში“
142. რაგბის საერთაშორ. ასოციაცია (შემოკლ.)
143. იაპონელი მწერალი ... კობო
144. მსახიობი ... ტაილერი
145. მექსიკელი მხატვარი ქალი
146. კუნთთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი
147. ხრიკი, ოინი
148. მდიდრული აგარაკი
149. მოგზაური ... სევერინი
150. ქალაქი იტალიაში
151. მათემატიკური კონსტანტა
152. ბიონსეს რეპერი მეუღლე
153. აღმოსავლური ხორციანი კერძი
154. იგივეა, რაც მადა
155. არქეოლოგიის შესწავლის ობიექტი
156. ცხოველთა მეფე
157. ბატონის მსახური
158. მუსიკალური გამის V ნოტი

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




## მედიკოსები: კიბოს უჯრედებს კოლექტიური ცნობიერება აქვთ

რაისის, თელ-ავივისა და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტების სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ კიბოს უჯრედები ურთიერთშეთანხმებით მოქმედებენ, რითიც ბაქტერიების კოლონიებს ძალიან ჰგვანან.

– უარი უნდა ვთქვათ შეხედულებაზე, თითქოს, კიბო – ეს არის შემთხვევითი ერთობლიობა უჯრედებისა, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობენ, – ამბობს რაისის უნივერსიტეტის თეორიული ბიოფიზიკის ცენტრის ხელმძღვანელი ჰერბერტ ლევინი.

მისივე თქმით, სინამდვილეში, კიბოს უჯრედები რთულ სოციალურ ცხოვრებას ეწევიან.

არსებობს მტკიცებულება, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ კიბოს უჯრედები ერთმანეთს „უთანხმდებიან“ და სამიზნეს ერთად უტევენ, რათა დააზიანონ ჯანმრთელი უჯრედები, წარმოქმნან მეტასტაზები, გამოიმუშაონ მედიკამენტების მიმართ იმუნიტეტი და ასე შემდეგ.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების თანახმად, კიბოს უჯრედები ძალიან დიდი წარმატებით მოქმედებენ ჯგუფებად, რითიც წინააღმდეგობას უწევენ ანტიბიოტიკებსა და ქიმიოთერაპიას. კერძოდ, არსებობს სპეციალური „შპიონი“ უჯრედები, რომლებიც სხეულში მათთვის აგრესიულ აგენტებს პოულობენ და დანარჩენ „თანამოძმეებს“ სიგნალს უგზავნიან. შედეგად, მთელი ჯგუფი არააქტიურ მდგომარეობაში გადადის, რითიც იმავე ანტიბიოტიკებსა და ქიმიოთერაპიას ემალება. ანალოგიური გზით უბრუნდება კიბოს უჯრედების ჯგუფი აქტიურობას.

იმ შემთხვევაში, თუკი მეცნიერები შეძლებენ და დაადგენენ, ზუსტად როგორი მეთოდით ცვლიან კიბოს უჯრედები ერთმანეთში ინფორმაციას, მაშინ დაავადებას დამანგრეველ და გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებენ.

მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია და იმედი ვიქონიოთ, რომ კაცობრიობა ერთ-ერთ ყველაზე საშინელ დაავადებას ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხებს.

*doctor-dom.com*

## იმპოტენციის მიზეზად ძალიან ლამაზი ქალები დაასახელეს



„მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო“, ქალები ჩაიქირქილებენ, ალბათ, მაგრამ ჰაი, დედასა, რომ სულ ტყუილად!

ესპანელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძალიან მიმზიდველი ქალები მამაკაცების ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებენ. კერძოდ, ლამაზი ქალების დანახვაზე მამაკაცებში სტრესის ჰორმონის მკვეთრი მატება ხდება.

თავიანთი მოსაზრება რომ შეემოწმებინათ, მეცნიერებმა ექსპერიმენტიც ჩაატარეს, რომელშიც 80 სტუდენტი მონაწილეობდა. მათ ლამაზი ქალის გარემოცვაში თავსატეხი უნდა ამოეხსნათ.



აღმოჩნდა, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლის კამპანიაში მამაკაცებს მობილიზება ძალიან გაუჭირდათ. თუმცა, როგორც კი ქალმა ოთახი დატოვა, მოხალისეებმა ამოცანა ადვილად და ყოველგვარი გართულების გარეშე ამოხსნეს.

შედეგად დადგინდა, რომ „სილამაზის ფაქტორიდან“ გამომდინარე, მამაკაცებში სტრესის დონე მატულობს და იკლებს. როცა ქალი ახლოსაა, სტრესი მკვეთრად ზემოთ იწევს, ხოლო, როცა გვერდით არავინაა, შესაბამისად, სიტუაცია სტაბილურდება.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ სტრესის ჰორმონების მატება მამაკაცის ჯანმრთელობაზე ხანგრძლივ ნეგატიურ გავლენას ახდენს და შედეგად სხვადასხვა უსიამოვნება იჩენს თავს, მათ შორის, პოტენციის დაქვეითებაც.

*woman.ru*

## ქალის ხასიათის ამოცნობა მისი წარბების მიხედვით შეიძლება



სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, ეჭვი გვეპარება, რომ წარბებით ან გნებავთ, ფეხის ფეხზე გადადებით ქალის ბუნების ამოცნობა მამაკაცმა ბოლომდე მოახერხოს. ქალი ხომ მიმზიდველი და მომხიბვლელი სწორედ თავისი ამოუცნობი ხასიათითაა, ხოლო ამოცნობილი ქალი ძალიან უინტერესო იქნება.

ასეა თუ ისე, ამერიკელი მეცნიერები მაინც ამტკიცებენ, რომ მშვენიერი სქესის ხასიათის გაშიფვრაში მათი წარბების ფორმები დაგვეხმარება. გარდა ამისა, სწორედ წარბებით შევიტყობთ, როგორი შეიძლება იყოს ქალი, ვთქვათ, სამსახურში და საწოლშიც კი.

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტების მონაცემების თანახმად, ფართო და ხშირი წარბები იმაზე მეტყველებს, რომ ქალი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დომინანტობისკენ მიილტვის – როგორც სამსახურში, ისე პირად საქმეებშიც.

ასევე, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ უფრო სწორი ფორმის წარბები, რომელიც ბოლო პერიოდში მოდაში შემოვიდა, საზოგადოებაში ქალთა თანაბარუფლებიანობისკენ ბრძოლის მანიშნებელია.

თუკი ქალს მხოლოდ მსუბუქად შესწორებული წარბები აქვს, ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ის ძალიან ნაზია და ამასთანავე, საკუთარ თავში არცთუ ისე დარწმუნებული. ასეთი ქალი ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ და დომინანტ მამაკაცს ეძებს.

*woman.ru*

## რომელი ტკბილეული იწვევს კიბოს?



კაცოოო! მლაშე არ ჭამო, ტკბილი არ ჭამო, ეს არ ჭამო, ის არ ჭამო! აბა, რა ვქნათ, დილითაც მწვანილი ვჭამოთ, შუადღეზეც და საღამოსაც მწვანილით „ჩავიგემრიელოთ“ პირი? ჰოდა, ბარემ ბოსტანში დაგვაბან და ეგ იქნება.

ბრიტანელი მეცნიერების თქმით, ტკბილეულის მოყვარულ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს საშვილოსნოს კიბო ემუქრებათ, ძლიერ სქესს კი ასეთი კონკრეტული საფრთხე არ აქვს, თუმცა უკეთეს მდგომარეობაში არც ისინი არიან.

დასკვნის ავტორები განმარტავენ, რომ, თუკი ადამიანის რაციონში ტორტი კვირაში რამდენჯერმე ხვდება, საშვილოსნოს კიბოთი დაავადების რისკი დაახლოებით 33 პროცენტით მატულობს. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი ტკბილეულს კვირაში სამ დღეზე მეტჯერ მიირთმევს, დაავადების გაჩენის საშიშროება უკვე მთელი 42 პროცენტით იზრდება. საერთოდ, კატასტროფული შედეგების მომტანია ტკბილეულის ყოველდღიური მიღება.

აღსანიშნავია, რომ ეს დასკვნა ბრიტანელმა მეცნიერებმა 3-წლიანი მუშაობის შედეგად გამოიტანეს.

ისინი ასევე ამბობენ, რომ საფრთხის შემცველია დღეში 7 კოვზზე მეტი შაქრის მიღება ჩაისთან ან ყავასთან ერთად.

მათი რეკომენდაცია ასეთია: საშიში ტკბილეული უვნებელი მარმელადით და მურაბებით უნდა ჩავანაცვლოთ.

*dr20.ru*

## ინსულტგადატანილ პაციენტებს... ღამურა დაეხმარება



ღამურების ნერწყვი, რომლებიც სისხლით იკვებებიან, ინსულტგადატანილ ადამიანებს ძალიან დიდ დახმარებას აღმოუჩენენ. საქმე ისაა, რომ ამ არსებების ნერწყვი შედგება შენაერთებისგან, რომლებსაც სისხლის გათხელება და ტვინში თრომბების დაშლა შეუძლია.

მედიკოსები განმარტავენ, რომ ინსულტის შემდეგ, პაციენტებს სჭირდებათ ინექციები, რათა შეტევიდან მომდევნო 4 საათში შედედებული სისხლი გათხელდეს. თერაპია სასურველ შედეგს მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღებს. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში არსებული პრეპარატები ექიმებს პაციენტის გადარჩენის მინიმალურ შანსს აძლევს. რაც შეეხება ღამურას ნერწყვში აღმოჩენილ შენაერთებს, მისი დახმარებით წარმატება, ფაქტობრივად, გარანტირებულია.

სპეციალისტებმა ღამურების ნერწყვი იმ მიზეზით შეისწავლეს, რომ მეცნიერებისთვის დიდი ხნის წინათ ცნობილი ყოფილა, რომ ისინი ნერწყვს იმისთვის იყენებენ, რათა მსხვერპლის სისხლი მაქსიმალურად გაათხელონ და ადვილად დალიონ. საბედნიეროდ, ექსპერიმენტმა გაამართლა და თანამედროვე მეცნიერებამ საკმაოდ სასიკეთო შედეგი მიიღო.

*medportal.ru*

## რამდენი წუთია უსაფრთხო კევის ღეჭვა?



– იმ შემთხვევაში, თუკი კევის ღეჭვა 15 წუთზე მეტხანს გრძელდება, ამას ღრძილებისა და პაროდონტის ფუნქციის მოშლა შეუძლია, – ასეთია რუსეთის სტომატოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ჰიგიენის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, საღეჭ რეზინს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მისი ხანგრძლივად გამოყენება არათუ ებრძვის კარიესს, არამედ პირიქით, თავად ხდება მავნე ბაქტერიების გავრცელების მიზეზი.

კვლევის ავტორები დაბეჯითებით გვირჩევენ, რომ აღნიშნული წესი უნდა დაიცვან არა მხოლოდ ბავშვებმა, არამედ მოზარდებმაც, რადგან ორივე შემთხვევაში პრობლემების გაჩენის საფრთხე ძალიან დიდია.

*mndg.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ფსიქიატრიულში მღებავი ჭერს ღებავს. მიუახლოვდა პაციენტი:

– ჩვენი ძმა, ფუნჯზე ხელი ხომ კარგად გიკიდია?

– კი...

– კარგი, მაშინ კიბეს წავიღებ...

*****

– ძალიან ამაღლებულ, შესანიშნავ და წარმოუდგენლად მაგარ განწყობაზე ვარ, სახელწოდებით „ამ ჩემს ფეხებს“...

*****

სექსოლოგიის ლექტორი ლექციას კითხულობს:

– სტატისტიკის თანახმად, ქალების 18 პროცენტს სექსი მუდმივად სურს, 23 პროცენტი ორალურ სექსზე გიჟდება, 30 პროცენტი კი ქმრებს ღალატობენ...

სტუდენტის ხმა ბოლო მერხიდან:

– სტატისტიკა რა ჯანდაბად გვინდა, ჩვენ სახელები გვჭირდება, მისამართები, ტელეფონები!!!

*****

განცხადება:

– ინტიმმომსახურება შეჰერაზადასგან: 1 საათი – 100 დოლარი, ღამე – 300 დოლარი. ყოველი 1002-ე ღამე – უფასოა!..

*****

– როგორ ასწრებთ ამდენ რამეს და ყველაფრის მიმართ ოპტიმიზმს როგორ ინარჩუნებთ?

– უბრალოდ, არავისთან ვკამათობ.

– ეს ხომ შეუძლებელია?!

– ნუ, თუ შეუძლებელია, იყოს შეუძლებელი!..

*****



საოპერაციო მაგიდაზე ოფიციანტი წევს, სისხლისგან იცლება. შედის ექიმი:

– ექიმო, მიშველეთ, ვკვდები...

– უკაცრავად, მე ამ მაგიდას არ ვემსახურები...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის“ თანამშრომლები გულისტკივილით იუწყებიან ინსტრუმენტალური საამქროს უფროსის, უპატიოსნესი პიროვნებისა და კვალიფიციური სპეციალისტის

**ოტია ორაგველიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ენაბლუობის დამარცხება ერთ კვირაში მოხერხდება?



ძალიან ბევრი ადამიანის თავის ტკივილია ენის მოკიდება, თუმცა თუკი ჩინელი მეცნიერების ახალმა მეთოდმა გაამართლა, თითოეული მათგანი ამ უსიამოვნებას ადვილად მოაგვარებს.

სწორედ ჩინეთში იქნა გამოგონილი მეთოდი, რომლის დახმარებითაც, როგორც ამბობენ, ენაბლუობა სულ რაღაც ერთ კვირაში გამოსწორდება.

მკურნალობის ახალი მეთოდი ტვინზეა დაპროგრამებული და განკურნების მექანიზმს უმაღლეს დონეზე ქმნის. ამის წყალობით, პროცედურა მხოლოდ ერთ კვირას გრძელდება.

მეცნიერებმა ტვინის „გადატვირთვის“ გამოცდა 15 მოხალისეზე ჩაატარეს, რომელთაც მკურნალობის დაწყებამდე ტვინის სკანირება ჩაუტარეს. ამის შემდეგ, ერთი კვირის მანძილზე მკურნალობა მიმდინარეობდა – პაციენტები დასურათებულ ტექსტებს კითხულობდნენ და ორმარცვლიან სიტყვებს იმეორებდნენ. და ასე დღეში სამჯერ. ბოლო ეტაპზე ენაბლუობა მათ სრულად უქრებოდათ.

სპეციალისტებმა განმეორებითი სკანირებაც ჩაატარეს, რომელმაც აჩვენა, რომ მეტყველებაზე პასუხისმგებელი თავის ტვინის ნაწილი ძლიერ იყო შეცვლილი, რამაც გამოიწვია კიდეც სასურველი შედეგი.

*golosscience.com*

## ქიშმიში სპორტსმენებისთვის სასარგებლოა



პრინციპში, არა მხოლოდ სპორტსმენებისთვის, თუმცა ამერიკელი მკვლევარები სწორედ მათზე აკეთებენ აქცენტს.

კონტინენტსგაღმელებმა დაადგინეს, რომ ქიშმიშის ხშირად მიღება საშუალებას იძლევა, შეჯიბრებების დროს დაკარგული ენერგია სპორტსმენმა ძალიან მალე დაიბრუნოს.

კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა საკმაოდ ხანგრძლივი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც მორბენალი სპორტსმენები იყვნენ ჩართულები. ექსპერიმენტი 3 ეტაპად იყო დაყოფილი, რომელთა შუალედში მოხალისეები 7-7 დღე ისვენებდნენ.

ყოველ ეტაპზე 8-კილომეტრიანი დისტანციის დაფარვის შემდეგ, სპორტსმენები იღებდნენ ჩვეულებრივ წყალს, სპეციალურ სპორტულ პროდუქტს და ქიშმიშს.

შედეგად აღმოჩნდა, რომ საუკეთესო შედეგები სწორედ იმათ ჰქონდათ, ვინც ქიშმიშს იღებდა.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ქიშმიში სავსეა კალიუმით, რკინითა და ძალიან დიდი რაოდენობის ანტიოქსიდანტებით.

აღსანიშნავია, რომ ქიშმიში სასარგებლოა ნებისმიერი ადამიანისთვის, რადგან ის ძალიან დიდ დახმარებას უწევს იმუნურ სისტემას.

*dr20.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. ხელფასი 800 ლარი დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**7 მაისი:** შეეცადეთ, დღეს პირადი ურთიერთობები მინიმუმამდე დაიყვანოთ ნებისმიერ პიროვნებასთან. ეს განსაკუთრებით ნათესავებს ეხებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდია ალბათობა, რომ წაიჩხუბებთ.

**კურო 22.04-21.05**

**7 მაისი:** შორსმიმავალ გეგმებზე ფიქრისთვის შესაფერისი დღე არ არის. აზრიანს ვერაფერს მოიფიქრებთ და დროს ტყუილად დაკარგავთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**7 მაისი:** როგორც წესი, მომთმენები და ცივი გონებით მოაზროვნენი იმარჯვებენ. არც თქვენი შემთხვევაა გამონაკლისი. რაც უფრო ნაკლებ ემოციებს დააფიქსირებთ, მით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**7 მაისი:** იმაზე მეტად ეგოცენტრული იქნებით, ვიდრე საჭიროა და ამაზე სათანადოდაც მიგითითებენ. არაერთი კამათი გელით.

**ლომი 23.07-22.08**

**7 მაისი:** ვალდებული არ ხართ, მიჰყვეთ რჩევას, თუ ის მიუღებლად მიგაჩნიათ. თუნდაც მრჩეველი თავის სფეროში აღიარებული სპეციალისტი იყოს.

**ქალწული 23.08-22.09**

**7 მაისი:** თუ დღეს ახლობლების გარემოცვაში მოხვდებით, საკუთარ თავში კარგ მთხრობელს აღმოაჩენთ. ასეთ გარემოში არ აღმოჩნდებით, სასურველია, თავში მოსული აზრები ფურცელზე დააფიქსიროთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**7 მაისი:** დღეს მხოლოდ ერთ, თქვენთვის მნიშვნელოვან საქმეს მიხედეთ, სხვა დანარჩენში დროს უშედეგოდ დაკარგავთ. ყველა საქმეს ერთად ვერ მოერევით.

**მორიელი 23.10-21.11**

**7 მაისი:** მაქსიმალური აკურატულობა გმართებთ. შეიძლება ძალიან ფაქიზ თემებზე მსჯელობა მოგიწიოთ. შეეცადეთ, არც ვინმე გააწბილოთ და არც თავად დაზარალდეთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**7 მაისი:** შეიძლება დღეც შესვენება დაგჭირდეთ, სულ მცირედი მაინც. გადააბარეთ პასუხისმგებლობა და საქმეები სხვებს და შვებას უცებ იგრძნობთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**7 მაისი:** როგორც ჩანს, დღეს სასარგებლო ადამიანებს გაიცნობთ. შეიძლება ისინი ერთი შეხედვით ასეთებად არ მოგეჩვენოთ, მაგრამ მომავალში აუცილებლად გაამართლებენ.

**მერწყული 20.01-18.02**

**7 მაისი:** დღეს ყველაფერი თუნდაც მცირედით, მაგრამ იმაზე უკეთესად იქნება, ვიდრე თქვენ გეგმავდით. ისარგებლეთ ამით და გათვლებში ძალიან მომჭირნე ნუ იქნებით.

**თევზები 19.02-20.03**

**7 მაისი:** თქვენი სახლი თქვენი ციხესიმაგრეა და მისი ბატონ პატრონი თქვენ ხართ. დღეს ამ იმიჯის შენარჩუნება მოგიწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უპასუხისმგებლობაში დაგადანაშაულებენ.

გაზეთი ალია

სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## თამბაქოსთან განშორებაში... ოცნება დაგვეხმარება



ჰო, ოცნებაო, ზუსტად ასე ამბობენ სპეციალისტები, ოღონდაც, ქართულ „ოცნებაზე“, რასაკვირველია, არავინ საუბრობს. ჯერჯერობით, პარტიას მსგავსი სამკურნალო თვისებები არ გამოუვლენია.

ჰოდა, იმას ვამბობდით, რომ როგორც სპეციალისტები გვარწმუნებენ, სიგარეტის გადაგდებას ძალიან ადვილად შეძლებენ ის ადამიანები, რომლებიც მომავალს იმედით უყურებენ და ოცნებას არიან შეჩვეულები.

აღნიშნული დასკვნა ნიუკასლის უნივერსიტეტის სპეციალისტებს ეკუთვნით, რომლებმაც დაახლოებით ორი ათასი ადამიანის მდგომარეობა შეისწავლეს.

კვლევის ფარგლებში, ექსპერტებმა მოხალისეებს თავიანთი სამომავლო გეგმების შესახებ მოყოლა სთხოვეს. ზოგს თითქმის მთელი ცხოვრება ჰქონდა უკვე დაგეგმილი, ზოგიერთები კი მომდევნო კვირასაც კი არ გეგმავდნენ წინასწარ.

დაახლოებით 8 წლის გასვლის შემდეგ სპეციალისტებმა შედეგები შეაჯამეს. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 77 პროცენტს მოწევისთვის თავი ჰქონდა დანებებული. რაც ყველაზე მთავარია, მავნე ჩვევა სამუდამოდ მოიშორეს სწორედ იმ ადამიანებმა, რომლებსაც მომავალი წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი.

– ოპტიმიზმმა და მომავლის იმედმა მათ სიგარეტი გადააგდებინა, – ასეთია მეცნიერების დასკვნა, რომელიც ცოტა რთული დასაჯერებელი კი არის, მაგრამ თქვენც იოცნებეთ, ოცნებასთან მეგობრობისთვის განა ვინმე დაუსჯიათ? ნუ, ახლა, საქართველოს არ ვგულისხმობთ...

*pronowosti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კლასში ახალი მასწავლებელი შევიდა:

– გამარჯობათ, ბავშვებო! მე ლევანიკო მასწავლებელი მქვია, მე ლიბერალი ვარ. ახლა თქვენც ყველანი ადექით და ზუსტად ასე გამაცანით თავი...

– მე მქვია ნინიკო, მე ლიბერალი ვარ...

– მე მქვია ოთუნა, მე ლიბერალი ვარ...

– მე მქვია გუგუნა, მე ლიბერალი ვარ...

– მე მქვია კოტე, მე სტალინისტი ვარ!

– კოტე, რატომ ხარ სტალინისტი?

– იმიტომ, რომ მამაჩემი სტალინისტია, დედაჩემი სტალინისტია, ჩემი მეგობრებიც სტალინისტები არიან!

– და მამაშენი რომ ნარკომანი იყოს, დედაშენი – მეძავი, ხოლო მეგობრები – ჰომოსექსუალები, შენ ვინ იქნებოდი?

– მაშინ მეც ლიბერალი ვიქნებოდი!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ⋙ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.45